ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 ნოემბერი, 2022 №225 (9003) ფასი: 80 თეთრი

გვ.2

მამუკა მდინარაძე: „სააკაშვილის მძიმე დიაგნოზი „ფეიკია“

კობა ნაყოფია: „დიახ, მელიას მხარდამჭერი ვარ“

გვ.2

„ოპოზიცია ივანიშვილზე ყვირის რუსი ოლიგარქიო და რეალურად საფრანგეთის მოქალაქეა“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ სააკაშვილს უპირობო კაპიტულაციაზე ხელის მოწერას სთხოვს – ჩამოშორდეს ქართულ პოლიტიკას“

„რაც დრო გადის, ოპოზიცია სულ უფრო და უფრო სუსტდება“

„ევროპა და ევროპული მომავალი „ოცნებას“ არაფერში სჭირდება“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიცია ჯერ ივანიშვილის პარლამენტის დეკორაციის როლიდან გამოვიდეს და მერე ავიდეს ბარიკადებზე“

გვ.3

მამუკა გიორგაძე: „საქართველოს პოლიტიკური სპექტრი სავსეა რუსეთის აგენტურით“

„ქართული ოცნება“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ ხელახლა გააცოცხლოს ნაციონალური მოძრაობა“

„ევროპარლამენტში „ოცნებამ“ ისე უნდა იმუშაოს, როგორც ნაციონალები მუშაობენ“

გვ.4

გელა ნიკოლაიშვილი: „შიდა კანონმდებლობას უნდა დავეყრდნოთ და არა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს“

4 გიორგი მუმლაძე: „ნიკა მელიამ, როგორც პარტიის შიდა განახლებისთვის მებრძოლმა ლიდერმა, ვერ ივარგა“

5 „კაი ბიჭები ვყავართ მოტყუებული“ – დაკავებულია 5 პირი

5 ორმაგი მკვლელობის ჩამდენი მამაკაცი 48 წლის შემდეგ დააპატიმრეს

6 ცოლ-ქმარმა ქორწილის იუბილეზე ალმასი იპოვა

1993230720223

„ოპოზიცია ივანიშვილზე ყვირის რუსი ოლიგარქიო და რეალურად საფრანგეთის მოქალაქეა“

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ სააკაშვილს უპირობო კაპიტულაციაზე ხელის მოწერას სთხოვს – ჩამოშორდეს ქართულ პოლიტიკას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

„რაც დრო გადის, ოპოზიცია სულ უფრო და უფრო სუსტდება“

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რა ხდება ოპოზიციაში, რა დაემართა ნაციონალურ მოძრაობას?

– სერიოზული ჩხუბი მიდის, განხეთქილებაა. პარტიის ლიდერი ციხეშია და მის გარეშე ისეთი ამბები ხდება, მართალი გითხრათ, ამის კომენტირებაც კი არ მინდა. მარტო ჩემს „ფრენდებში“ ისეთი ჩხუბი მიდის, წარმომიდგენია, შიგნით რა ხდება.

– როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი მართლაც კეზერაშვილის დამსახურებაა?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ვისი დამსახურებაა. რთული წარმოსადგენი არაა, რაც ამ პარტიის შიგნით ხდება. ან აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს, ან ისევ მელია დარჩება, მაგრამ ამით რა მაგალითს აძლევენ თავის ამომრჩეველს, რას ჰგავს ეს ყველაფერი?! ზოგადად ასეთი რამ საქართველოში აქამდე არ მომხდარა, რომ რომელიმე პარტიას თავის შიდა სამზარეულო თუ დაპირისპირება ასე საჯაროდ გამოეტანოს. მე მსგავსი რამ არ მახსენდება.

– ეს გამოიწვია სააკაშვილის დისტანცირებამ პარტიიდან?

– ალბათ. ფორმალურად მიშა დიდი ხანია აღარ იყო პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ დიდი გავლენა ჰქონდა. ციხიდან კი, რა თქმა უნდა, ვეღარ მართავს პროცესებს. ამიტომ, რაც მივიღეთ, მივიღეთ.

– უშველის დღეს ნაციონალურ მოძრაობას თუნდაც თავმჯდომარის შეცვლა?

– რა გითხრათ, თუ ვინმე მესია ჰყავთ და აქამდე ჩუმად იყო და მალავდა თავის შესაძლებლობებს, შეიძლება და ისე, რა გითხრათ, აბა.

– მელიას ფრთის გარდა კიდევ ორი ფრთაა პარტიაში, ერთს გიორგი ჩალაძე უნდა თავმჯდომარედ, ხოლო კეზერაშვილის ფრთას, პეტრე ცისკარიშვილიო.

– ამ ადამიანების უმეტესობას კარგად ვიცნობ, ურთიერთობაც ნორმალური მაქვს, მაგრამ მათ ლოგიკას ვეღარ მივყვები და შიგნით რას აკეთებენ, ვერც ეს გამიგია. სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, მე მგონი, აზრიც არა აქვს რამის თქმას. არც მათ შიდა საქმეებში ჩარევა ღირს.

– ოპოზიციის ერთი ნაწილი გაერთიანებაზე ალაპარაკდა. გიორგი ვაშაძეა ამის ინიციატორი. ამ სიტუაციაში შეძლებს ოპოზიცია გაერთიანებას?

– თუ ნაციონალური მოძრაობის გარდა ყველა ოპოზიცია გაერთიანდება, შესაძლოა კიდევ რაღაც გამოვიდეს, მაგრამ ჯერჯერობით ესეც არ ჩანს. ეს სამი პარტია კიდევ არ არის მთელი ოპოზიცია. ისევ და ისევ, ერთიანობამდე საკმაოდ შორია.

– არ გამოვა ერთიანობა?

– ფაქტია, რომ ჯერჯერობით არ გამოდის. ნაციონალური მოძრაობა არ შედის, მაგრამ კიდევ არიან ოპოზიციური პარტიები, რომლებიც არ შედიან. ზოგს ვადამდელი უნდა, ზოგი ისევ აქციებს აანონსებს. ძალიან არათანმიმდევრულია ოპოზიცია.

– ვადამდელი არჩევნების ჩატარების შანსი რჩება კიდევ?

– რაც დრო გადის, ოპოზიცია სულ უფრო და უფრო სუსტდება.

– რატომ დაემართა ეს ოპოზიციას? ვისმენთ შეფასებას, რომ პულსი აღარ ესინჯებაო.

– ალბათ საკუთარი შეცდომების გამო. მიდის ხელისუფლების დამხობის დაანონსება, ხალხი გაჰყავთ ქუჩაში და მერე ეს ყველაფერი მთავრდება არაფრით. ყველაფერი ხომ ამოწურვადია? მათი მომხრეების მოთმინებაც ამოიწურა. ყველაზე ცუდი რაც არის, ეს ყველაფერი იწვევს მათი მომხრეების იმედგაცრუებას. შეყრიან ამ ხალხს და მერე რა უნდა ქნან, აღარ იციან. ამავე დროს, არ უნდათ, რომ ამომრჩეველი სულ სახლში იჯდეს, უნდათ, რომ ფორმაში ჰყავდეთ. ამ გაყვანასაც თავისი მინუსი აქვს, ამომრჩეველი იღლება. არ გაიყვანენ და ვხედავთ, რაც ხდება. მოკლედ, ასე შუაში არიან გაჩხერილები. ჭკვიანური სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილი იქნება ყველაფერზე, ჯერჯერობით მათ არა აქვთ.

– ხელისუფლებაზე რას იტყვით? 12-პუნქტიანი გეგმა ჯერ ისევ შესასრულებელია. დასავლეთიდან კვლავ სერიოზული კრიტიკა ისმის. გასული კვირის ბოლოს კვლავაც კრიტიკული რეზოლუცია გამოაქვეყნა ევროპარლამენტმა. რას ფიქრობს „ქართული ოცნება“?

– ხელისუფლებისთვის მთავარია, რომ იმუშაონ ევროკავშირის აღმასრულებელ უწყებებთან, თორემ კონკრეტულ ევროპარლამენტარებს ყოველთვის შეუძლიათ მოსდონ შარი.

– საკმაოდ აგდებული დამოკიდებულებაც ჰქონდათ „ოცნების“ ლიდერებს, ვნახეთ ესეც.

– ზოგჯერ ისეთი რამ წერია რეზოლუციებში, რომ აძლევენ თავს უფლებას გააკრიტიკონ. ხოლო რაც შეეხება 12-პუნქტიან გეგმას, ჩემი აზრით, შეიძლება ამის ქაღალდზე შესრულება, მშვენივრად და გადასარევად. ახლა მიიღებენ დეოლიგარქიზაციის კანონს, რომელიც რეალურად გადმოწერილია უკრაინის კანონმდებლობიდან და იტყვიან, აჰა, შევასრულეთ! პრინციპში „ოცნება“ მიეჩვია ამ ბრძოლებს. მათ ჰყავთ ახლა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ლაპარაკი ბრიუსელთანაც და ვაშინგტონთანაც. ისე აღარ არის, ადრე რომ იყო, ადრე ამაზე მონოპოლია ჰქონდა ნაცმოძრაობას და ევროპულ საქართველოს. ახლა ამათმაც ისწავლეს მუშაობა, ბრიუსელთანაც და ვაშინგტონთანაც.

– აქტიურად ისმის მოწოდებები სააკაშვილის და გვარამიას შეწყალებაზე. სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადებაზე მაინც. ვისმენთ განცხადებებს, რომ საკმაოდ მძიმეა სააკაშვილის დიაგნოზი. გადაუვადებენ სასჯელს? წავა ამაზე ხელისუფლება?

– მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ნამდვილად უნდა გაუშვან სამკურნალოდ უცხოეთში. ხელისუფლება კი სხვაგვარად ფიქრობს.

– რას ფიქრობს?

– ისინი ფიქრობენ, რომ სააკაშვილი გაუშვან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის საჯაროდ უარს იტყვის პოლიტიკაზე და ხელს მოაწერს უპირობო კაპიტულაციას. აი ამაზე მიდის ახლა თამაში.

– რომ დამძიმდეს?

– ალბათ ფიქრობენ, რომ ფატალური შედეგი არ დადგება და ამიტომ ევაჭრებიან. როგორც ჩანს, გათვლა იმაზე აქვთ, რომ ნელნელა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება, მაგრამ კატასტროფული არაფერი არ მოხდება. ელოდებიან, როდის იტყვის მიშა საჯაროდ და ხმამაღლა, რომ მივდივარ პოლიტიკიდან, არასოდეს აღარ დავბრუნდები და მოინანიებს ცოდვებს. როგორც ჩანს, ამის იმედი აქვთ.

სააკაშვილის განაჩენი ლეგიტიმურად რომ გააპროტესტონ, ჯერ აქ უნდა ამოიწუროს ყველა საშუალება. ანუ გასაჩივრდეს სააპელაციოში, უზენაესში და მერე წავიდეს სტრასბურში. სტრასბური თუ დაადგენს, რომ დაირღვა მისი უფლებები, კი ბატონო, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ფორმალურად და სამართლებრივად ვერავინ ვერ მოდებს შარს გარედან საქართველოს ხელისუფლებას, რომ მან სააკაშვილის უფლებები დაარღვია. ეს იცის ხელისუფლებამ და ამას ელოდება წყნარად და მშვიდად. მოდით, ამოვწუროთ ყველა სამართლებრივი რეზერვი...

– ეს ყველაფერი დროში ძალიან იწელება და ხომ შეიძლება, ძალიან დამძიმდეს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– სწორედ ამაშია საქმე. იციან, რომ დრო ამ ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს.

– ბოლო პერიოდია, სულ უფრო ხშირად საუბრობენ ივანიშვილის დასანქცირებაზე დასავლეთის მხრიდან. ბოლო პერიოდია ვრცელდება ინფორმაცია, რომ ივანიშვილი სანქციების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებაში მობრუნებას გეგმავსო. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?

– არა მგონია. დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი სანქციები არ იქნება და არც შემობრუნდება. სანქციებზე საუბარი თუ აქტუალური იყო სამი-ოთხი თვის წინ, ის საუბარიც ჩაკვდა. გაუგებარია, რის გამო უნდა დაადონ სანქციები?! ფორმალურად რაში უნდა დასდონ ბრალი? რა გააფუჭა? მე არაერთხელ მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან ფრთხილი ადამიანია და ის საშაროდ საქმეს არ გაიხდის, მით უმეტეს, ამ ასაკში, რომ სანქციები დაადებინოს ვინმეს. ეს არის ბუა-ბუას ძახილი და ფაქტია, რომ ივანიშვილს აღარ ეშინია ამ ბუასი. ზოგიერთს ავიწყდება ერთი ფაქტი, რომ ბოლოს და ბოლოს, ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა. ყვირიან რუსი ოლიგარქიო და საფრანგეთის მოქალაქეა სინამდვილეში. რამდენიც არ უნდა იძახონ რუსი ოლიგარქი, ეს არ ზრდის შანსებს, რომ დასავლეთი ივანიშვილს სანქციებს დაადებს. ივანიშვილი ძალიან ფრთხილი კაცია და ამ სიტუაციაში შარში თავს არ გაყოფს.

– არც მისი შემობრუნების გჯერათ?

– არა. პირიქით, ფორმალურად მაინც ყველანაირად უფრო და უფრო გაემიჯნება პოლიტიკას, სალაპარაკო არ მისცეს ვინმეს, რომ მას გავლენა აქვს პოლიტიკაზე. არ ხიბლავს ამ კაცს საჯარო ცხოვრება და პოლიტიკა. შესაძლოა, უნდა, რომ ბერკეტები შეინარჩუნოს, მაგრამ საჯარო პოლიტიკა არ სჭირდება არაფერში. ისე მიდის საქმე, რომ საბოლოო ჯამში, საერთოდ ჩამოშორდება ყველაფერს, ოღონდ რაღაც გარანტიები სჭირდება, ცხადია.

მამუკა მდინარაძე: „სააკაშვილის მძიმე დიაგნოზი „ფეიკია“

– მიხეილ სააკაშვილის მძიმე დიაგნოზი „ფეიკია“, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ, განაცხადა.

მდინარაძის განმარტებით, საზოგადოებამ დღემდე ვერ მოისმინა საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ამსახველი რეალური ინფორმაცია იმის მიუხედავად, რომ ამ მიზნით საქართველოში უამრავი ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტი ჩამოდის.

ხან ვიღაცა ჩამოდის, ის ექსპერტი, ისეთი ავტორიტეტული, ასეთი ავტორიტეტული, ემპათია, ის ექიმი, ცუდად არის, ამდენი ხანი დასკვნა ვერ დადო ვერავინ. რა ხდება?

6 თვის წინ, პანიკა რომ იყო ატეხილი, კვდებაო. დიაგნოზია უმძიმესიო, მითხარით, რა დიაგნოზი იყო. რომელიმე თქვენგანს დიაგნოზი გახსოვთ, რომელიც სასჯელის გადავადების საფუძველი ან არა საფუძველი იყოს?

იცით, რომელიმე დიაგნოზი, რატომ არ გახსენდებათ? სულ „ფეიკია“. ეს პანიკა დარჩა, ათასი „ფეიკი“ მოვისმინეთ ამდენი ხნის განმავლობაში, მაგრამ დიაგნოზი რა იყო, ასეთი რამ არ დადებულა – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

კობა ნაყოფია: „დიახ, მელიას მხარდამჭერი ვარ“

პარტია ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, კობა ნაყოფიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის კრიტიკული მდგომარეობის ფონზე, პარტიაში არჩევნების ახლა დანიშვნა არ იყო დროული.

ამასთან, როგორც მან ჟურნალისტებთან აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილი პარტიაში მიმდინარე პროცესებში არ ერევა და ნეიტრალური პოზიცია აქვს.

ასევე, კობა ნაყოფიამ განაცხადა, რომ მას პარტიის თავმჯდომარის კანდიდატის პოსტზე ვერ ვიხილავთ. მისივე განცხადებით, ნიკა მელიას თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი თავი არ ამოუწურავს.

– რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის პოსტზე, ამას ვერ იხილავთ. წარმოიდგინეთ, ახლა ვიყავი ადამიანთან, მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც ასეთ მძიმე მდგომარეობაშია. ნაციონალური მოძრაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და უპირველესი ამოცანა სააკაშვილის კლინიკიდან დროული გაყვანაა. აქ საკითხი სიცოცხლის გადარჩენაა. იმ დღეს, როდესაც განიხილებოდა სააკაშვილის საკითხი და მნიშვნელოვანი იყო როგორ მოიქცეოდა ხელისუფლება ამ სასამართლოს დასრულების შემდეგ, ჩვენ, სამწუხაროდ და ჩემდა გასაკვირად, ვიხილეთ ცალკე ჩატარებული ბრიფინგი. ამის შესახებ არც მე, არც პარტიის პრესსამსახურმა და არც თავმჯდომარემ არაფერი ვიცოდით. არ ვიცი, ეს რას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არ იყო დროული. მეტსაც გეტყვით, არჩევნების საკითხი და ახალი სამოქმედო გეგმის საკითხი დიდი ხანია განიხილება პარტიაში. ჩემი აზრით, შესაძლებელი იყო ამის განხილვა შიგნით და არა იმ ფორმით, რა ფორმით ეს ჩემმა კოლეგებმა გააკეთეს. არ მიმაჩნია, რომ ნიკა მელიამ ამოწურა საკუთარი თავი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებთ, დიახ, მელიას მხარდამჭერი ვარ. პარტიას აქვს წესდება, რომლის მიხედვითაც ჩატარდება არჩევნები. ვიცი, რომ მიმდინარეობს მზადება, მაგრამ კონკრეტულ თარიღს ვერ დაგისახელებთ. იმედი მაქვს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები კონსოლიდირებულად იფიქრებენ ქვეყანაში ვითარების შეცვლაზე.

მთავარი ამოცანა, რომელიც დღეს ოპოზიციის წინაშე დგას, არის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა და ნიკა გვარამიას თავისუფლება. ჯობია, ამ აზრის ირგვლივ ვიყოთ კონსოლიდირებული.

მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებზე სიღრმისეულად გვესაუბრა, თუმცა ის არ ერევა პარტიის შიდა საქმეებში, ნეიტრალური პოზიცია აქვს. შეიძლება გითხრათ, რომ პარტიაში დანიშნული არჩევნები მისი აზრითაც უდროო იყო, – განაცხადა კობა ნაყოფიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროპა და ევროპული მომავალი „ოცნებას“ არაფერში სჭირდება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიცია ჯერ ივანიშვილის პარლამენტის დეკორაციის როლიდან გამოვიდეს და მერე ავიდეს ბარიკადებზე“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსს თუ არ მივიღებთ, ეს ქუჩაში გასვლის საფუძველი უნდა გახდეს, რასაც სარჯველაძის გამოხმაურება მოყვა – რაც ესიზმრებათ, ის ელანდებათ.

– ქუჩაში ჯერ ეს ოპოზიცია უნდა გავიდეს, რომ ხალხი გამოვიდეს. ისე არ არის, შენ ცალი ფეხით ბარიკადებზე იდგე და ცალით პარლამენტის კომფორტსა და ფუფუნებას ვერ ელეოდე. ხალხმა რომ ირწმუნოს ოპოზიციის, ჯერ თავად უნდა გადადგას ნაბიჯი და მერე მოუწოდოს ხალხს ქუჩაში. პარლამენტში რომ გაიჭედნენ, დატოვონ იქაურობა. ივანიშვილის პარლამენტის დეკორაციის როლიდან გამოვიდნენ და მერე ავიდნენ ბარიკადებზე. ორივეს ერთდროულად შეთავსება გამორიცხულია. ან ქუჩაში ბრძოლის გზა უნდა აირჩიონ, ან ის გზა, რომელზეც დღეს იმყოფებიან. არჩევანი ძალიან მარტივია. ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. „ოცნებამ“ გვითხრა, ოლიგარქი ჩვენ არ გვყავს, ივანიშვილი მეცენატია. ოლიგარქი თქვენ გყავთ პარტიებშიო. ამის მერე რომელ კანონზე, რომელ საპარლამენტო ცხოვრებაზე გველაპარაკებიან, ძალიან მაინტერესებს. ხელისუფლება დგას და დაგვცინის ყველას ერთად.

– ფიქრობთ, სტატუსს ვერ მივიღებთ?

– 99% დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ სტატუსს ვერ მივიღებთ. იმიტომ კი არა, რომ ეს ვინმეს აწყობს – არა, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ევროკავშირი და ეს გზა უბრალოდ ვერ თავსდება ერთმანეთთან. ეს გამორიცხულია. ივანიშვილს არ აწყობს ევროპული მომავალი ამ ქვეყნისთვის. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს. სწორედ ამის სიგნალია ჩინჩალაძე-მურუსიძის სასამართლო სისტემაში დაბრუნება. ნიკა გვარამიას ორჯერ გასამართლება, დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის იმ მოდელის მიღება, რომელიც „ოცნებამ“ მოამზადა. ეს ყველაფერი სწორედ ამის დასტურია. თან ძალიან მკაფიო და უშიშარი დასტური. ეს ხელისუფლება ღიად ამბობს – არ მაწყობს და მორჩა!

– რატომ არ უნდა აწყობდეს?

– ძალიან მარტივია: რუსული, ავტოკრატიული მმართველობა ვერ თავსდება ევროკავშირის სტანდარტებში, დემოკრატიულ მმართველობაში. სასამართლო, რომელიც არ შეასრულებს მის ხუშტურებს და იქნება სამართლიანი, ცხადია, გაამართლებს ნიკა გვარამიას და ციხიდან გაუშვებს. გვარამია ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, არ შეიძლება უდანაშაულო ადამიანი გაასამართლო და სასჯელი მიუსაჯო ანუ ციხეში გაუშვა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იტან. აბა, სხვა რა გზავნილი იყო მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლოში დაბრუნება თან იმ დროს, როდესაც რეკომენდაციები გვაქვს შესასრულებელი. ევროპა და ევროპული მომავალი „ოცნებას“ არაფერში არ სჭირდება. ევროპული მომავლის პირობებში მათი ადგილი, მათი მმართველობის ადგილი, უბრალოდ, არ იქნება, შეუძლებელი იქნება. ამათ კი უსასრულოდ უნდათ ეს ქვეყანა მართონ, საკუთარ რანჩოდ გადააქციეს. ამიტომ, რასაც უნდათ, იმას იზამენ.

– ფიქრობთ, რომ თუ სტატუსი არ მივიღეთ, ხალხი გამოვა?

– აუცილებლად გამოვა, მაგრამ ჯერ ეს „გაჭედილები“ უნდა გამოვიდნენ პარლამენტიდან, რადგან ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია. დროა, პარლამენტარობანას თამაშს მორჩნენ.

ხალხი ჯერ ითმენს, ითმენს და მერე ისე ამოხეთქავს, რომ მეშინია, არ წალეკოს საერთოდ არა მხოლოდ „ოცნება“, ოპოზიციაც და უმართავ პროცესებში არ გადავიდეს ეს ყველაფერი. ამიტომ არის საჭირო კარგად დაფიქრება და დეკორაციის როლიდან გამოსვლა.

– ხალხი იმედგაცრუებულია, ეს სოციოლოგიურ კვლევებს ეტყობა.

– ამიტომ ვამბობ, რომ ამ ყველაფერზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. ეს ქვეყანა ხალხისგან სწორედ ამიტომ დაიცალა. ადამიანები საკუთარ სამშობლოში საკუთარ მომავალს ვერ ხედავენ და ამიტომ გარბიან ქვეყნიდან. თუ ასე გაგრძელდა, თუ ასე უსასრულოდ გაედინა ხალხი და შემოვიდნენ რუსები, მაშინ მართლა ახდება ამ ხელისუფლების ოცნება. სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ადამიანები თუ სამართალს ვერ იპოვიან, თუ სამუშაო ადგილებს ვერ იშოვიან, თუ ასეთი ძვირი და დუხჭირი იქნება ცხოვრება, როგორ არჩინონ ოჯახები. ეს არ ადარდებს ამ ხელისუფლებას. იაფი ბილეთები შესთავაზა. ამიტომ ბრძოლაა საჭირო. აქ ბრძოლაა საჭირო და არა ქვეყნიდან წასვლა, მაგრამ ამას მაგალითის მიცემა სჭირდება პირველ რიგში ჩვენგან, ოპოზიციისგან.

– სალომე ზურაბიშვილმა შეიძლება ნიკა გვარამია შეიწყალოს?

– არა, გამორიცხულია. თუმცა, მას აქვს შანსი ამ გადაწყვეტილებით დამტკიცოს, პირველი: რომ ის არის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და მას ვერ აკონტროლებს ივანიშვილი. მეორე, ის კონკრეტულ ნაბიჯს დგამს, რომ საქართველო მართლა დაუახლოვდეს ევროკავშირს და ამაზე მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. მესამე, ის არის სამართლიანი ადამიანი და უსამართლოდ ადამიანის ციხეში გაშვება მისთვის, როგორც დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების ადამიანისთვის, მიუღებელია.

„ქართული ოცნება“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ ხელახლა გააცოცხლოს ნაციონალური მოძრაობა“

მამუკა გიორგაძე: „საქართველოს პოლიტიკური სპექტრი სავსეა რუსეთის აგენტურით“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, მამუკა გიორგაძეს.

– თქვენ და ახლა გარდაცვლილი ნოდარ ნათაძე თანამებრძოლები იყავით. ნოდარ ნათაძე მთელი ცხოვრება იბრძოდა რუსეთის მარწუხებიდან ქვეყნის დასახსნელად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა მაინც დგება დრო, როცა ეს შეიძლება განხორციელდეს?

– ბატონი ნოდარი იყო მაგალითი ქვეყნის უანგარო მსახურებისა. ის იყო ბედნიერი, რომ ასრულებდა რიგითი ქართველი მებრძოლის მოვალეობას. ნოდარ ნათაძე პარლამენტის თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე იყო, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო. მან სამხედრო ფორმა ჩაიცვა და რიგით ჯარისკაცად წავიდა ფრონტზე. არადა, მაშინ 65 წლის იყო. 2008 წლის ომშიც მოახერხა გაპარვა უკვე საკმაოდ ასაკოვანმა. ბატონმა ნოდარმა ღრმა კვალი დატოვა თავისი ინტელექტუალური ნაშრომებით, მეცნიერული კვლევებით. გულნატკენი წავიდა იმით, ის, რისთვისაც იბრძოდა, ვერ დაგვირგვინდა. როცა პრეზიდენტი იყო მარგველაშვილი, მან ბატონი ნოდარი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ნოდარ ნათაძემ ჯილდო არ მიიღო იმ მოტივით, რომ დამარცხებულ ომში ჯილდოებს არ იღებენ. ეს ნაბიჯი გამოხატავს შინაგან განწყობას, რომელიც ამ მოღვაწეს ჰქონდა. ნოდარ ნათაძე წუხდა, რომ ქვეყანა ვერ ვითარდება იმ სტრატეგიული მიმართულებით, რომელიც შეესაბამება ერის სრულმასშტაბიანი ამოცანების შესრულებას.

– საქართველოს მიმდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებზე გადავიდეთ. არანაირი დინამიზმი არ შეიმჩნევა. იმავდროულად, პოლიტიკურ სპექტრში კრიზისული მოვლენებია?

– შიდა პოლიტიკაში არაფერი ხდება, არანაირი ტენდენცია არ იკვეთება, არ ჩანს ჯანსაღი მოქმედებები და დუღილი. პოლიტიკური კლასი ხასიათდება დაბალი დონით. ელიტა შემგუებელია. ახლანდელი პოლიტიკური სპექტრი გამოირჩევა ნეგატიური თვისებებით. 30 წლის განმავლობაში ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ საქართველოს ჰყოლოდა ასეთი მდარე, პოლიტიკისგან ძალიან შორს მდგომი, ეროვნული ამბიციებისაგან, პატრიოტიზმისაგან სრულიად დაცლილი პოლიტიკური კლასი. ახლანდელი სიტუაცია ძალიან მაგონებს საბჭოთა უძრაობას. ამჟამად ადამიანების უმრავლესობა პოლიტიკაში მოსულია ფულის საკეთებლად, საკუთარი კეთილდღეობისათვის. შე დალოცვილო, ფულის შოვნა თუ გინდა, სხვაგან იშოვე, მაინცდამაინც პარლამენტში უნდა დაჯდე?!

„როცა არსებობს სააკაშვილის ფაქტორი, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის აირჩევენ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ“

– კრიზისული პროცესები ხომ აშკარაა პარტიებში?

– საქართველოს პოლიტიკური სპექტრი სავსეა რუსეთის აგენტურით. ამ მხრივ კრიზისი არ შეინიშნება. აქ გადმოტანილია რუსული ჭაობი. „ქართული ოცნება“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ ხელახლა გააცოცხლოს ნაციონალური მოძრაობა.

– ნაცმოძრაობა ძველებურ პოზიციას ინარჩუნებს?

– „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ მთავარ მოწინააღმდეგედ ჰყავდეს ნაცმო. იმისათვის, რომ თავისას მიაღწიონ, მოიგონებენ თემებს, გადაფარავენ პრობლემებს, დაატრიალებენ ჭიქაში ქარიშხალს, შექმნიან ყალბ ხმაურს.

– ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ხელახლა აირჩევენ თავმჯდომარეს. ეს რისი მომასწავებელია?

– არაფრის. როცა არსებობს სააკაშვილის ფაქტორი, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის აირჩევენ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ. ელექტორატი სააკაშვილისაა. ნაცმო არაფერი იქნება სააკაშვილის გარეშე, ისევე, როგორც „ქართული ოცნება“ აღარავის გაახსენდება ივანიშვილის გარეშე.

– არსებობს ასეთი პოზიცია – ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა მედა-სავლეთე ამომრჩევლის უმრავლესობა, სააკაშვილის ფანები კი შემორჩნენ.

– „ქართული ოცნების“ ძალისხმევაზე ამიტომაც გითხარით. ნაცმოძრაობა არანაირი პროდასავლური ძალა არ გახლავთ, მაგრამ „ოცნება“ წარმოაჩენს ასეთად. ელექტორატი რომ არ დაკარგოს ნაცმომ, ამაზე „ოცნება“ მუშაობს. ბოლო ხანს არაერთი რეზოლუცია იქნა მიღებული ევროპის საბჭოს, ასევე ევროპარლამენტის პარლამენტებში. ყველგან ჩანს ნაციონალური მოძრაობის აქტიურობა და „ოცნების“ პასიურობა. ევროპის სახალხო პარტიასთან „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ საერთო ენა ვერ გამონახა. ისიც არ უცდია, რომ ვინმე სხვას ეკონტაქტა ამ ძალასთან, გარდა ნაციონალური მოძრაობისა. ევროპელ სოციალისტებთანაც ვერ იაქტიურა. არადა, შეეძლოთ, ევლოთ ევროპაში, ყველასთვის თვითონ მიეწოდებინათ ინფორმაცია.

– საქართველოს მომავალი მარტო ამ პარტიებზე ხომ არ არის დამოკიდებული? მსოფლიოში მიმდინარე ძვრებიც ხომ რაღაცას შეცვლის?

– რასაკვირველია. რუსეთმა უდიდესი მარცხი განიცადა ხერსონში. ხერსონის ოლქი ლამის წმინდა მიწად ჰქონდათ რუსებს გამოცხადებული და ერთ თვეში დატოვა. რა ხდება საქართველოში? ისევ არის დიდი ლოიალობა რუსეთის მიმართ. საქართველოს ხელისუფლების რუსეთისადმი ლოიალური განცხადებები ამოგვაგდებს ცივილიზებული სამყაროდან.

მსოფლიოში ხედავენ, რომ რუსეთის პერსპექტივა ნულამდე დადის. ჩვენ რუსეთის საამებელი განცხადებები კი არ უნდა ვაკეთოთ, ცივილიზებული სამყაროს ინვესტიციების მოზიდვაზე ვიზრუნოთ. მაგალითად, „ბოინგი“, „ეფლი“ და სხვა ძალიან ცნობილი კომპანიები რომ შემოსულიყვნენ, სრულად სხვა რეალობა შეიქმნებოდა. ეს ბრენდები თვითონ იზრუნებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. საქართველოს სჭირდება ინვესტიციები, ტექნოლოგიური განვითარება და იურიდიულ-სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერება. აშშ-მ ჩადო 50 მილიარდი სხვადასხვა ქვეყანაში მიკროსქემების განვითარებაში. ჩვენ საუკეთესო კადრები გვყავს. გვაქვს დიდი ტექნიკური პოტენციალი. ძალიან წაგვადგებოდა ეს ინვესტიცია. საუბედუროდ, არ გვაქვს ნორმალური საბაზრო პირობები. როგორც ჩანს, საქართველოს არც ენდობიან. გავიხედოთ გარშემო – რა პროცესებია აზერბაიჯანსა და სომხეთში!

– აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში გააქტიურდა ვაშინგტონი. ამაზე საუბრობთ?

– ამაზეც. ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებაზე თავის განსხვავებულ სიტყვას ამბობს ირანი. ყველა აქტიურია, ყველა რაღაცას ცდილობს საქართველოს გარდა. საქართველოს პოლიტიკურ სუბიექტადაც აღარ განიხილავენ. ალიევი ჩამოსული იყო ეკონომიკურ და ბიზნესის საკითხებზე სასაუბროდ. საქართველოს მისცემენ მცირე წვლილს დიდი პროექტებიდან და სულ ესაა.

– ასე უიმედოც არ უნდა იყოს მდგომარეობა. პრორუსული ჯგუფები ხალხს ეუბნებიან, რომ მალე მსოფლიო ორ ბანაკად გაიყოფა, საქართველო კი რუსეთის ბანაკში უნდა იყოსო. ასეც ხომ არ არის საქმე?

– რა თქმა უნდა, ასე არ არის საქმე. პესიმიზმში არ უნდა ჩავცვივდეთ. შემგუებლობა, რომელიც ავადმყოფობასავით შეგვეყარა, უნდა დავძლიოთ. უნდა შევუდგეთ სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას და პოლიტიკური ინფრასტრუქტურის განახლებას. საქართველოში არსებობენ კომპეტენტური, უანგარო ადამიანები, რომლებიც უნდა იყვნენ აქტიურ პოლიტიკაში. ისინი პარლამენტში ფულის საშოვნელად არ მივლენ. ჭირს ამ ღირსეული პიროვნებების პოლიტიკურ ჯგუფებში შეკრება, თუმცა ამასაც მოევლება.

ქვეყნის განვითარება ფერხდება და ძვირად გვიჯდება, მაგრამ საბოლოოდ, მიზანს მივაღწევთ. დასანანია, რომ გვაკლდებიან მოღვაწეები. ზოგი ქვეყნიდან მიდის, ზოგი სიცოცხლეს ესალმება. ჯანსაღი ძალების გააქტიურების შესაძლებლობა მაინც არსებობს. არიან ადამიანები, რომლებიც გულწრფელად იტყვიან „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“.

აგერ, ახლოვდება მსოფლიოს 20 ყველაზე ძლიერი ქვეყნის ლიდერების სამიტი. პუტინი იქ ჩასვლას ვერ ბედავს. იცის, რომ ხელს არ ჩამოართმევენ. საქართველოში პრორუსული ჯგუფები, სინამდვილეში, იდეოლოგიურად რუსეთის მომხრეები არ არიან. მათ საკუთარი ინტერესები აქვთ. ზოგი ფინანსდება, ზოგს რუსული ჭაობი მოსწონს, სადაც მონოპოლიური, კორუფციული სისტემაა და იქ კომფორტულად გრძნობს თავს. ალბათ, ისინიც გამოფხიზლდებიან და უაზრო პროპაგანდას შეეშვებიან.

„ევროპარლამენტში „ოცნებამ“ ისე უნდა იმუშაოს, როგორც ნაციონალები მუშაობენ“

გელა ნიკოლაიშვილი: „შიდა კანონმდებლობას უნდა დავეყრდნოთ და არა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

– ბატონო გელა, ევროპარლამენტარების გარკვეული ნაწილი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, თავისი რეზოლუციების შედგენის თუ საქართველოს მიმართ წამოყენებული მოთხოვნების დროს, პატივს რატომ არ სცემს და რატომ არ ითვალისწინებს? ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიც ხომ მურუსიძის მიღებული არ არის?

– ევროპარლამენტში უამრავი დეპუტატია. აქედან კენჭისყრაში მონაწილეობას მხოლოდ 50 ღებულობს, ეს უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ევროპარლამენტარებისთვის საკითხი აქტუალური არ არის, ანუ ისინი მაინცდამაინც არ ინტერესდებიან. ევროპარლამენტში არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც მხოლოდ საქართველოს მდგომარეობით ინტერესდება.

ევროპარლამენტართა ამ ჯგუფს მიკერძოებული დამოკიდებულება აქვთ. ისინი კონკრეტული ფრაქციის წარმომადგენლები არიან, რომელშიც ან ნაციმოძრაობის წარმომადგენლები შედიან, ან პირადი ურთიერთობა აქვთ, ან სხვა ურთიერთობები აქვთ, ან კიდევ, რეალურ სიტუაციაზე, საერთოდ, წარმოდგენა არ აქვთ და ვიღაცის ხათრით რაღაც რეზოლუციას ხმას აძლევენ.

როდესაც 600-ზე მეტი დეპუტატიდან რეზოლუციას მხოლოდ 47 დეპუტატი აძლევს ხმას და ის გადის, ეს უკვე თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ რეალურად, ევროპარლამენტის დამოკიდებულება ამ კონკრეტული საკითხისადმი არასერიოზულია.

გარდა ამისა, ჩვენი წარმოდგენით, ევროპარლამენტარებმა ყველაფერი იციან, ყველაფერში ერკვევიან, რა ხდება ადამიანის უფლებების სფეროში. ზოგმა შეიძლება ისიც არ იცოდეს, საქართველო სად მდებარეობს, არათუ საქართველოს საშინაო მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ევროპარლამენტარებთან არასაკმარისად მუშაობენ. უნდა მიჰყავდეთ თავისი ლობისტები, თავისი ის ხალხი, რომ თუნდაც სიმართლე დაანახონ.

თუ მაინც უნდათ, ცხვირწინ უფრიალონ რეზოლუციები, კი ბატონო, მაგრამ ეს საკმარის დონეზე მუშაობის შედეგი არ არის. ყველაფერი ერთად აღებული, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, ასეთი რეზოლუციები მიიღონ და აფრიალონ.

– ამ რეზოლუციებით ძალიან კარგად სარგებლობენ.

– დიახ, ხალხს აჩვენებენ, თითქოს ისეთი რეზოლუციებია, მთელი მსოფლიო იმის შესრულებას მოითხოვს, რაც რეზოლუციაში წერია.

– საკაშვილისა და გვარამიას გათავისუფლებას მოითხოვენ, ხაზარაძეს პოლიტპატიმრად მოიხსენიებენ, ანუ გარკვეული პირების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მოითხოვენ.

– ამას ვამბობ. ამის მთავარი მიზეზი მაინც „ქართული ოცნების“ დეპუტატიის პასიურობა და არასაკმარისი მუშაობაა.

– დიახ, წინა წლებში ლობისტებისადმი „ოცნების“ დამოკიდებულება სხვაგვარი იყო, თითქოს მათ ლობისტები არ სჭირდებოდათ. სინამდვილეში, მე მგონი, ლობისტები ძალიანაც სჭირდებათ.

– რა თქმა უნდა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ მიდგომა ისეთია, უნდათ, საქართველოს პროკურატურამ ნაციმოძრაობის მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულობების გამოძიებაზე, საერთოდ, მორატორიუმი გამოაცხადოს?

– ჰო, რა თქმა უნდა, ევროპარლამენტში ისეთი ჯგუფები და პიროვნებები, ისეთი ევროპარლამენტარები იქნებიან, რომლებსაც 2003-12 წლებში ჩადენილ დანაშაულობების გამოძიებაზე მორატორიუმის გამოცხადება ენდომებათ იმიტომ, რომ ისინი ან ლობისტები არიან, ან ლობისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან კიდევ ნაციმოძრაობის გავლენას განიცდიან. ნაციმოძრაობამ 10 წლის განმავლობაში იმდენი მეგობარი და კეთილგანწყობილი პირი შეიძინა, რომ ხან ინფორმაციული ვაკუუმის გამო, ხან – ტყუილებით გამოტენვის გამო, ხან – ანგარების გამო (ბევრი მომენტია) მათ შორის დადებითი განწყობა მოიპოვა.

ნაცები მათ დღესაც არწმუნებენ, რომ სწორედ ისინი არიან პროევროპულები, პროდასავლელები, ხოლო ხელისუფლება პრორუსულია. ამის ერთადერთი წამალია, ხელისუფლებამაც ანალოგიურად იმუშაოს.

– ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ხანდახან საქართველოშიც სხვადასხვაგვარად კითხულობენ. აი, მაგალითად, მამალაძის საქმეზე ერთი მხარეც აცხადებდა, რომ საქმე მოიგო (და 9 ათასი ლარი კომპენსაციაც დაუდგინეს) და მეორე მხარეც, ხელისუფლება ამბობდა, მამალაძემ საქმე წააგო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– აქ საქმე მარტივადაა. ევროსასამართლომ ორი პროცედურული დარღვევა დაადგინა. პირველი – მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმპცია დაირღვა, გარკვეული პირები რომ გამოდიოდნენ და მაშინვე აცხადებდნენ, დამნაშავეაო. მეორე – მთელი სასამართლო პროცესები დახურულ რეჟიმში არ უნდა ჩატარებულიყოო. ამ ორი მომენტის გამო, თქვეს, რომ პროცედურები დარღვეული იყო.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, – მართალია თუ ტყუილი, ამ კუთხით ევროსასამართლომ თქვა, რომ საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია, ანუ შინაარსობრივად მოიგო ხელისუფლებამ, პროცედურულად მოიგო დაცვის მხარემ.

– ზოგიერთი თავის კომენტარში წერდა, ნორმალური ხელისუფლება რომ იყოს, ეს გადაწყვეტილება საქმის გადასინჯვის საფუძველი გახდებოდაო.

– მაგას ჩვენი კანონი ითვალისწინებს, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, შეიძლება, სააპელაციო სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველი გახდეს, რადგან ეს არის ახლად გამოვლენილი გარემოება.

ახლად გამოვლენილი გარემოება ნამდვილად არის. ოღონდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, ახლად გამოვლენილ გარემოებას რამდენად შეეძლო განაჩენზე გავლენა მოეხდინა. სააპელაციო სასამართლო ამაზე იმსჯელებს. მე მგონი, ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში სარჩელს შეიტანენ კიდეც, მაგრამ პროცედურული დარღვევა რომ იყო და არა შინაარსობრივი, ამას, ალბათ, სასამართლო დაადგენს.

კი, ბატონო, პრეზუმპცია დაირღვა, ვიღაცას არ უნდა ეთქვა, დამნაშავეაო, ან მოსამართლეს პროცესი არ უნდა დაეხურა. ახლა შეუძლიათ პროცესი ღიად ჩაატარონ, მაგრამ ის, რომ მტკიცებულებები განაჩენისთვის ნამდვილად საკმარისი იყო, ევროსასამართლომ დაადგინა. ალბათ, სააპელაციო სასამართლოც იგივეს დაადგენს, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოების განხილვის შემთხვევაში.

– რამდენადაც მახსოვს, ადრე პროცედურული დარღვევების გამო, შეიძლებოდა მოსამართლეს საქმე გამოსაძიებლად პროკურატურისთვის უკან დაებრუნებინა. ამ შემთხვევაში პროცედურულ დარღვევებზე მოსამართლეს რა შეიძლებოდა გაეკეთებინა?

– არაფერი. ჯერ ერთი, საქმის უკან დაბრუნება ჩვენს კანონმდებლობაში დიდი ხანია აღარ არის. სააკაშვილის დროს ეს მუხლი გააუქმეს და საქმის უკან დაბრუნება აღარ ხდება, ამიტომ მოსამართლე საქმეს უკან გამოსაძიებლად ვეღარ დააბრუნებდა.

უბრალოდ, ახლა მოსამართლეს უთხრეს, რომ ის პროცედურული დარღვევები, რომელიც იყო, არ უნდა ყოფილიყო და ყველა პროცესი არ უნდა დაგეხურაო.

– სხვათა შორის, ევროპული საბჭოს რეკომენდაციებში, რომელიც წელს მისცეს საქართველოს შესასრულებლად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, ერთ-ერთი პუნქტი ევროსასამართლოს გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. მგონი, ამის თაობაზე კანონში ცვლილება უკვე შეიტანეს. რა გავლენას მოახდენს ევროსასამართლოს გამოცდილების გაზიარება საქართველოს სასამართლოს მუშაობაზე?

– სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებებს ახლაც იყენებენ, მაგრამ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცდილების გამოყენება ყველა საქმეში, ყველა სასამართლო ინსტანციაში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო საქმეში აბსურდია.

– რატომ?

– აბსურდია, რადგან ყველა საქმე ინდივიდუალურია. ევროსასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებები აქვს, ყოველთვის მისი გამოყენება არ შეიძლება. ერთი და იგივე საქმეზე დაცვის მხარემაც შეიძლება გამოიყენოს რაღაც საქმე, ხოლო ბრალდების მხარემ მეორე საქმე გამოიყენოს და დააბრალონ, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასეაო.

ზოგადად, შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას უნდა დავეყრდნოთ და არა ევროპულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. მაშინ ქართული სასამართლო უნდა გააუქმო. ამერიკული სასამართლო, საერთოდ, თავისთვისაა, არ აინტერესებს, ევროსასამართლო რას წყვეტს. სამართლიანი სასამართლო არ არის? სამართლიანი სასამართლო არ არის, თუნდაც აზიის რომელიმე ქვეყანაში?

ისე არ არის, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, სახარებისეული სიბრძნეა და მორჩა, იმის იქით ვერ გადახვალ.

ყველა საქმე ინდივიდუალურია, ყველას თავისი ნიუანსები აქვს და შეუძლებელია ყველას მიუსაჯო სტრასბურის სასამართლოს მაგალითის გამოყენება.

ევროპა ხერსონის გათავისუფლებას მიესალმა

ევროპა მიესალმა ხერსონის გათავისუფლებას რუსი ოკუპანტებისაგან. ამის თაობაზე ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა სპეციალური განცხადებები გააკეთეს.

– გულწრფელად ვულოცავ უკრაინელ ხალხს უდიდეს გამარჯვებას ხერსონთან! – ამბობს საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი.

გერმანიის კანცლერმა შოლცმაც მიულოცა უკრაინელ ხალხს ხერსონთან გამარჯვება. მან თქვა, რომ ამით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მთელი უკრაინის დეოკუპაციისათვის. შოლცის აზრით, უკრაინული არმიის მიერ ხერსონის აღება რუსეთის იმპერიის დასასრულის დასაწყისია.

– ახლოვდება დრო, როცა აგრესიული რუსული შოვინიზმი, რომელიც ასე აწუხებდა ევროპას და მთელ დემოკრატიულ სამყაროს, საბოლოოდ დასამარდება, – თქვა შოლცმა.

როდის წავა რუსეთი ნამდვილ მოლაპარაკებებზე?

უკრაინის ხელმძღვანელის ოფისის მრჩევლის პოდოლიაკის აზრით, ხერსონის დაცემა რუსეთისათვის უმძიმესი დარტყმაა. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მოსკოვი ნამდვილ მოლაპარაკებაზე არ წავა.

– მოლაპარაკებები ორმხრივი კომპრომისია! იმას კი, რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, დიქტატი ჰქვია! – თქვა პოდოლიაკმა.

ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის აზრით, რუსეთს ცხვირ-პირში კიდევ გვარიანად უნდა მოხვდეს. მაგალითად, მოსკოვი იძულებული უნდა გახდეს, დატოვოს დონეცკი და ლუგანსკი.

– ამის შემდეგ კრემლი უკვე ჭეშმარიტ მოლაპარაკებებზე დათანხმდება! – თქვა პოდოლიაკმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გიორგი ბარამიძე: „ყველა კანდიდატს თავისი მინუსი და პლუსები აქვს“

ყველა კანდიდატს თავისი მინუსი და პლუსები აქვს. ვცდილობ, ნეიტრალური პოზიცია დავიკავო კანდიდატებთან მიმართებაში და არა პრინციპებთან მიმართებაში. ყველას ვთხოვ, რომ პრინციპი „ძალა ერთობაშია“ იყოს დაცული, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

ის ასევე გამოეხმაურა პარტია ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, კობა ნაყოფიას განცხადებას, რომ მთავარი ამოცანა, რომელიც დღეს ოპოზიციის წინაშე დგას, არის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა და ნიკა გვარამიას თავისუფლება. ბარამიძის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა მესამე პრეზიდენტის პროცესი დამთავრებულიყო და შემდეგ დაწყებულიყო ეს პროცესი.

– თუ რამე დავა არსებობს ჩვენს პარტიაში, მათ შორის, ვინ უნდა იყოს პარტიის თავმჯდომარე, უნდა გადაწყდეს არჩევნების გზით. ამიტომ, მეთოდი არის სწორი. გამომდინარე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, ვთვლი, რომ პოლიტიკურად სწორად შერჩეული დრო არ იყო. თუმცა, ინიციატივას და მეთოდს მივესალმები. ვიზიარებ იმ აზრსაც, რომ ამ პროცესის წამოჭრა არ იყო საჭირო. მე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნდა მიხეილ სააკაშვილის პროცესი დამთავრებულიყო და შემდეგ დაგვეწყო ასეთი მნიშვნელოვანი პროცესი. ყველა კანდიდატს თავისი მინუსი და პლუსები აქვს. ვცდილობ, ნეიტრალური პოზიცია დავიკავო კანდიდატებთან მიმართებაში და არა პრინციპებთან მიმართებაში. ყველას ვთხოვ, რომ პრინციპი „ძალა ერთობაშია“ იყოს დაცული, იმედია ყველა გაითვალისწინებს, – განაცხადა ბარამიძემ.

გიორგი მუმლაძე: „ნიკა მელიამ, როგორც პარტიის შიდა განახლებისთვის მებრძოლმა ლიდერმა, ვერ ივარგა“

„მისი გუნდი ვერ შეიქმნა, მან, როგორც პარტიის შიდა განახლებისთვის მებრძოლმა ლიდერმა, ვერ ივარგა, მისი მიყვანილი ხალხი დაიფანტა“ – ამის შესახებ „ გიორგი მუმლაძემ ამჟამინდელ პარტიის თავმჯდომარეზე, ნიკა მელიაზე საუბრისას განაცხადა.

გიორგი მუმლაძის თქმით, ნიკა მელიამ „ნაციონალურ მოძრაობაში“ „არასწორი ხალხი“ მიიყვანა.

– ხალხის მიერ არჩეული კი არ იყვნენ, ვიღაცაზე გაიგო, რომ ეს კარგი ტიპია, ესეც კარგი ტიპია და ასე მოაგროვა და დასვა იქ, მაგრამ მე მივიყვან ხალხს, რომელსაც აქვს გამოცდილება ხალხთან ურთიერთობის და ხალხის არჩეულებიც არიან. მთავარი, რასაც ვთავაზობ, არის ის, რომ ცვლილებები იქნება, – განაცხადა გიორგი მუმლაძემ.

მისივე თქმით, ნიკა მელია „ქართული ოცნებისთვისაა“ კარგი თავმჯდომარე, რადგან მათ დისკომფორტს არ უქმნის.

– მარტივ რაღაცას გეტყვით, პარტია რეიტინგით არის მეორე ადგილზე, მაგრამ პარტიის თავმჯდომარის მოწონების რეიტინგი არის მე-15 და მას უსწრებენ 1%-იანი პარტიების თავმჯდომარეები და ლიდერები. ეს არის ნონსენსი, ლიდერის თვისებები, ბრძოლისუნარიანობა და მოქმედებები პარტიის რეიტინგს უნდა წაადგეს და გაქაჩოს და არა პირიქით, რომ პარტია მიათრევდეს ლიდერს რეიტინგში. ადამიანი, რომელიც ყველა არჩევნებს აგებს და მერე იძახის წამართვეს არჩევნები, მომპარესო და ამ არჩევნების დასაცავად არაფერს არ აკეთებს, გარდა იმისა, რომ განცხადებები გააკეთოს, ეს ადამიანი არის არასანდო და ხაზს ვუსვამ, ნიკა მელია ამ ქმედებებით არის მისაღები და კარგი თავმჯდომარე „ქართული ოცნებისთვის“, რადგან არ უქმნის დისკომფორტს ხელისუფლებას, – განაცხადა გიორგი მუმლაძემ.

სარფში, სადახლოსა და კარწახში დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს

14 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „სადახლო-საავტომობილო“ და „კარწახი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური და კუთვნილი ბარგის, ასევე მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 74.860 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გუშინაც გადაიდო.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომა გუშინ, 14 ნოემბერს 13:00 საათზე იყო ჩანიშნული.

თავად მიხეილ სააკაშვილი კვლავ კლინიკა „ვივამედშია“ მოთავსებული. პენიტენციური დაწესებულებიდან გამოგზავნილი წერილის მიხედვით, სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სხდომაზე გამოცხადებაზე უარს აცხადებს, საქმე კი ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის ჩვენების მიცემის ეტაპია, შესაბამისად, სხდომა გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო.

აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

ავარია გურიაში მსხვერპლით დამთავრდა

ოზურგეთში ავტოსაგზაო შემთხვევას ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავარია გვიან ღამით, სოფელ ოზურგეთის საავტომობილო გზაზე მოხდა. ახალგაზრდა კაცმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ქვეითს დაეჯახა.

70 წლამდე ქალი ადგილზევე გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლი დაკავებულია.

სამეფო პითონმა მძარცველები გააქცია და პატრონი გადაარჩინა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში სამეფო პითონმა შეიარაღებულ მძარცველებს, რომლებმაც მის პატრონს შუბლზე პისტოლეტი მიადეს, საკუთარი თავის გატაცების საშუალება არ მისცა და აიძულა, გაქცეულიყვნენ.

არიელ გირონმა მობილურ დანართში განათავსა განცხადება, რომ სამეფო პითონს, სახელად ჩომპერსს, 200 დოლარად ყიდიდა და პოტენციურ მყიდველს სახლის წინ ავტოსადგომზე შეხვედრის თაობაზე შეუთანხმდა. ქვეწარმავლის საყიდლად გოგონა მივიდა. მან ქალს განუცხადა, რომ თან სულ რამდენიმე დოლარი ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით მისმა ძმამ პითონის პატრონს დანარჩენი თანხა ჩაურიცხა.

სანამ ისინი გარიგებაზე მსჯელობდნენ, გირონის მინივენთან ორი მამაკაცი მივიდა. ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ქალს თავზე პისტოლეტი მიადო და გველის მისთვის მიცემა მოსთხოვა. რამდენიმე წამის შემდეგ მძარცველები ქალის მანქანიდან გადახტნენ. სათვალთვალო კამერის ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ გადახტა მოულოდნელად ერთ-ერთი მძარცველი ავტომობილიდან, შემდეგ კი ორივე მამაკაცი ქვეწარმავლის გარეშე გარბის.

– ვფიქრობ, რომ მას გველის შეეშინდა. ის მისკენ გაცოცდა და ისიც უკან გადახტა, – განაცხადა ქვეწარმავლის პატრონმა და იქვე დაამატა, რომ მას შემდეგ, რაც პითონმა ის გადაარჩინა, მისი გაყიდვა გადაიფიქრა.

პოლიციამ ძარცვის მცდელობის ბრალდებით ეჭვმიტანილი 17 წლის მოზარდი დააკავა. მას დამამძიმებელ გარემოებაში ძარცვის ბრალდება წაუყენეს. მისი თანამზრახველი, რომელსაც ძარცვაში თანამონაწილეობაში ედება ბრალი, იძებნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროკურატურამ დაბა გომისმთაზე, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ ექვსი ფაქტი გამოავლინა

საქართველოს პროკურატურამ დაბა გომისმთაზე, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ ექვსი ფაქტი გამოავლინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, თაღლითობის და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე ბრალდება 6 პირს წარედგინა.

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წელს, ბრალდებულებმა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინეს ყალბი დოკუმენტები მასზე, რომ თითქოსდა 2007 წლამდე დაბა გომისმთაში თვითნებურად ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს.

აღნიშნულის საფუძველზე, ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთაში მდებარე ექვს მიწის ნაკვეთს, რითაც სახელმწიფოს 166.209 ლარის ზიანი მიაყენეს.

მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ.

ექვსივე ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა ჩადენილი დანაშაული. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, მათ ჩამოერთვათ თაღლითურად დაუფლებული მიწის ნაკვეთები, რომელიც დაუბრუნდა სახელმწიფოს.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას, როგორც დაბა გომისმთაში, ასევე დაბა ბახმაროში ანალოგიური დანაშაულის ჩამდენი პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

დღემდე, დაბა გომისმთაში და დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 44 პირის მიმართ და სახელმწიფოს 1.286.250 ლარის ღირებულების უძრავი ქონება დაუბრუნდა, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„კაი ბიჭები ვყავართ მოტყუებული“ — დაკავებულია 5 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და სამეგრელოში 5 პირი დააკავეს.

ორმაგი მკვლელობის ჩამდენი მამაკაცი 48 წლის შემდეგ დააპატიმრეს

აშშ-ში დააპატიმრეს 65 წლის მამაკაცი, რომელმაც 48 წლის წინ ორმაგი მკვლელობა ჩაიდინა.

16 წლის დონალდ ბარტონი და 18 წლის პიტერ ზიტო-უმცროსი თავში გასროლით მოკლეს. მკვლელობა 1974 წლის 3 ოქტომბერს 5,6 მილიმეტრის კალიბრის პისტოლეტით იქნა ჩადენილი ორეგონის შტატის ვაშინგტონის ოლქში, დასასვენებელი ცენტრის ავტოსადგომზე. მოკლულთა ცხედრები მეორე დღეს, დილით აღმოაჩინეს. ცხელ კვალზე დამნაშავის დაკავება ვერ მოხერხდა. საქმეზე ერთ-ერთ ეჭვმიტანილად სტივენ პოლ კრისი ითვლებოდა, რომელიც მკვლელობიდან ორ თვეში ქურდობისთვის დააკავეს. მის ავტომობილში იმავე კალიბრის პისტოლეტი იქნა აღმოჩენილი, თუმცა მაშინ ექსპერტიზამ ვერ დაადგინა, რომ სწორედ ამ იარაღიდან გასროლით მოკლეს ბარტონი და ზიტო-უმცროსი.

ამის შემდეგ კრისი ჯარში წავიდა, სადაც 1976 წელს იმავე პისტოლეტიდან გასროლით მოკლა თავისი მეთაური ჯეიკობ ბრაუნი. კონფლიქტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კრისმა ბრაუნის მანქანა დააზიანა და მისი რამდენიმე ასეული დოლარი მართებდა. სერჟანტიც ასევე თავში გასროლით მოკლეს. კრისს 35 წლით პატიმრობა შეუფარდეს, თუმცა 1988 წელს პატიმრობიდან ვადამდე გათავისუფლდა.

2022 წელს ორეგონის შტატის გაუხსნელი დანაშაულების განყოფილებამ დონალდ ბარტონისა და პიტერ ზიტოს მკვლელობის საქმის გადახედვა დაიწყო და ახალი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა.

– პისტოლეტი, რომლიდან გასროლითაც სტივ კრისმა მოკლა სერჟანტი ბრაუნი, აღმოჩნდა იგივე იარაღი, რომლითაც მოკლეს დონალდ ბარტონი და პიტერ ზიტო, – განაცხადა დეტექტივმა მარკ პოვოლნიმ, რომელიც 65 წლის კრისის საქმეს იძიებდა, რომელიც ამჟამად აიოვას შტატში ცხოვრობს და ნოემბრის დასაწყისში იქნა დაპატიმრებული. სასამართლომ კრისს ოფიციალური ბრალდება წაუყენა. აღსანიშნავია, რომ დამნაშავეს იგივე ხელბორკილები დაადეს, რომლებიც – 1974 წელს, დაპატიმრების დროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ქუჩები, სადაც 15 ნოემბერს ელექტროენერგია გაითიშება

სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების გამო 15 ნოემბერს ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება:

კრწანისის რაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სოფელ ტაბახმელის მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 17:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: დედაენის პარკის მიმდებარე ტერიტორიის, სანაპიროს, ნიშნიანიძის და სანავარდოს ქუჩების მოსახლეობას.

სამგორის რაიონი

ქსელში გადართვების გამო 00:00 საათიდან 03:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: კახეთის გზატკეცილის (ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის (ნაწილობრივ), წმინდა ბარბარეს, ლორთქიფანიძის, ჯავახეთის, ქინძმარაულის, ქიზიყის, ნაკადულის, ქაიროს, სამასი არაგველის, ოცხელის და ბაბუციძის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: გარდაბნის გზატკეცილის (ნაწილობრივ), ნაკადულის, 300 არაგველის, ქინძმარაულის, თავკვერის, ველისთავის, ჩხავერის, საფერავის, მეტალურგების და იუმაშევის ქუჩების მოსახლეობას.

მთაწმინდის რაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ვერეს დაღმართის, ელბაქიძის აღმართის, საქანელას, ჯავახიშვილის, ტაბიძის და სანაპიროს ქუჩების მოსახლეობას.

ისნის რაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის, ბოგდან ხმელნიცკის, წულაძის, თეთრიწყაროს და ციხისძირის ქუჩების მოსახლეობას.

საბურთალოს რაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სულხან ცინცაძის, ბახტრიონის და საბურთალოს ქუჩების მოსახლეობას.

ნაძალადევის რაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: დადიანის, ზესტაფონის, ხვინგიას, წერონისის, მაჩხაანის, ზედამზის, ლაითურის და ჟღენტის ქუჩების მოსახლეობას.

საერთაშორისო

მორიგი ანტიუკრაინული პროვოკაცია უნგრეთში



უნგრეთის პარლამენტის დეპუტატმა ლასლო ტაროცკაიმ პოლონეთს ერთიანი ანტი– უკრაინული ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდა. მისი აზრით, პოლონეთმა უნდა შეიერთოს გალიჩინა, ხოლო უნგრეთმა კი იმიერკარპატისპირეთი.

– საამისოდ ერთიანი ფრონტის შექმნაა აუცილებელი! – აცხადებს ტაროცკაი.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. ლვოვის ცენტრში პროვოკატორთა ჯგუფმა ანტიუკრაინული მიტინგის მოწყობა სცადა. მომიტინგეები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინის ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორია.

– ერთიან უკრაინას არც ნატოში, არც ევროკავშირში არავინ მიიღებს! აუცილებელია ან დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის აღდგენა, ან პოლონეთთან ან უნგრეთთან შეერთება! – გაჰკიოდნენ პროვოკატორები.

პოლიცია საქმეში არ ერეოდა. პროვოკატორებსაც პასუხი უბრალო გამვლელებმა გასცეს. მათ მომიტინგეები ცემა-ტყეპით გააძევეს.

– უკრაინა ტოტალიტარულ სახელმწიფოდ გადაიქცა! აქ ფიზიკურად უსწორდებიან ყველას, ვინც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს! – აცხადებს რუსული ტელევიზია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ემუქრება თუ არა უკრაინას შეტევა ბელორუსის მხრიდან?!

უკრაინულმა არმიამ ხერსონი გაათავისუფლა. ამით შეიქმნა თვისობრივად ახალი ვითარება. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი ხერსონის აღებას ადარებს მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების კატასტროფას სტალინგრადთან. მართლაც, ხერსონთან რუსეთმა დიდძალი ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა დაკარგა. საბოლოოდ ჩაიფუშა რუსეთის იდეა ყირიმთან ე.წ. „სახმელეთო კორიდორის“ შექმნის შესახებ. თავად რუსეთის მმართველ ელიტაში კი კონფრონტაცია გაღვივდა.

– ვლადიმერ პუტინმა რუსეთი კატასტროფამდე მიყვანა! ამის გამო პუტინი უნდა გასამართლდეს და დაიხვრიტოს! – აცხადებს თანამედროვე რუსული შოვინიზმის იდეოლოგი დუგინი.

აღსანიშნავია რუსეთ-უკრაინის ომისადმი ხალხის განწყობაც. შეკითხვაზე, ომი უნდა გაგრძელდეს თუ არაო, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 87%-მა მიუგო, რომ უნდა გაგრძელდეს. ამდენივე თვლის, რომ უკრაინული სახელმწიფოს განადგურება აუცილებელია. კითხვაზე, რუსეთის მოკავშირედ ვინ მიგაჩნიათო, უმრავლესობამ უპასუხა: ბელორუსია. მართლაც, ბელორუსი მსოფლიოს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც უკრაინასთან ომში მხარი დაუჭირა რუსეთს. ბელორუსის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო კონტინგენტია განლაგებული. ამა წლის მარტში სწორედ ბელორუსიდან განხორციელდა თადასხმა კიევზე. ბელორუსიდან მიმდინარეობს უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა.

– საფრთხე იმისა, რომ კიევზე შეტევა გამეორდება, დიდია! – აცხადებს უკრაინული არმიის სარდალი გენერალი ზალუჟნი.

უკვე დაიწყო რუსულ-ბელორუსული გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნა. დღეისათვის ის უკვე 87.000 ჯარისკაცს ითვლის. არგუმენტი, რომ უკრაინასთან ომი ბელორუსების 88%-ს არ სურს, არ გამოდგება. დღეს ბელორუსი ოკუპირებულია. მის საზღვრებს, ეკონომიკას, ეკლესიას, განათლების სისტემას, პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტს, არმიას, უშიშროებას მთლიანად რუსეთი აკონტროლებს. მართალია, პრეზიდენტ ლუკაშენკოს ომში ჩართვა არ სურს, მას ესმის, რომ მარცხი გარდაუვალია, მაგრამ ბელორუსის პრეზიდენტს არავინ არაფერს ეკითხება. მთავარი ვლადიმერ პუტინის სურვილია. ლუკაშენკოს არ გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რათა პუტინის სურვილს წინ აღუდგეს. შესაბამისად, უკრაინაზე ბელორუსის მხრიდან შეტევის საფრთხე სულ უფრო ძლიერდება.

– ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რომ რუსეთი ბელორუსიდან კვლავ შემოგვიტევს, – ამბობს ზალუჟნი.

ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ბელორუსის არმია ცუდადაა მომზადებული. ის აბსოლუტურად არა ბრძოლისუნარიანია. შესაბამისად, უკრაინაზე შეტევაც მარცხისათვისაა განწირული. ეს კატასტროფით დამთავრდება როგორც რუსეთისათვის, ისე თავად ბელორუსისათვისაც.

დემოკრატები სენატზე კონტროლს შეინარჩუნებენ

აშშ-ის შუალედური არჩევნები დამთავრდა. ხმების დათვლაც დასასრულს უახლოვდება. უკვე ცხადია, რომ დემოკრატები სენატზე კონტროლს შეინარჩუნებენ. ბოლო მოეღო რესპუბლიკელთა ოცნებას მოეპოვებინათ სენატში უმრავლესობა.

გრძელდება დაძაბული ბრძოლა კონგრესზე კონტროლის მოსაპოვებლად. რესპუბლიკელები უპირატესობას ინარჩუნებენ. ამავე დროს ცნობილი გახდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: რესპუბლიკელთა შორის არ არის ერთიანობა. გამოიკვეთა ნეო– რეიგანელების ფრთა. ის სენატორ დესანტისის გარშემოა დარაზმული და უკრაინისათვის დახმარების კიდევ უფრო გაფართოებას მოითხოვს. ტრამპის მომხრენი აშკარა უმცირესობაში არიან. მათ იდეას „ამერიკა უწინარეს ყოვლისა“ ცოტა მომხრე ჰყავს.

– სავარაუდოდ, დემოკრატები და დესანტისის ფრთა უკრაინის საკითხში ერთიანი ფრონტით გამოვლენ, – მიიჩნევს სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი.

ამრიგად, უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ უკრაინისადმი დახმარება გაგრძელდება. შესაძლოა, გამკაცრდეს თანხების განაწილებაზე კონტროლი, სასტიკი პასუხი მოეთხოვოთ მათ, ვინც ფულის ჩაჯიბვას ცდილობს. თავად დახმარება კი გაგრძელდება და შესაძლოა გაიზარდოს კიდეც.

აშშ უკრაინისათვის დახმარების ახალ პაკეტს ამზადებს

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა სალივანმა განაცხადა, რომ მზადდება უკრაინისადმი დახმარების ახალი პაკეტი.

– დეტალებს უახლოეს კვირაში გავასაჯაროებთ! – თქვა სალივანმა.

ხერსონში მოსახლეობა ბრუნდება

ხერსონის აღებამ უკრაინაში ვითარება ახალ საფეხურზე აიყვანა. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას. ხერსონის ოლქში უკვე ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულია 60 დასახლებული პუნქტი. მათზე უკრაინული დროშა აღიმართა. თავად ხერსონში კი ადგილობრივი ადმინისტრაცია დაბრუნდა. მართალია არც თავად ხერსონში, არც ოლქში შუქი არ არის, მაგრამ მოსახლეობა სიხარულს მაინც ვერ მალავს. ხერსონში ბრუნდებიან ისინი, ვინც ოკუპაციის შემდეგ ქალაქი დატოვა.

რაც შეეხება დონბასს, იქ მწვავე ბრძოლები გრძელდება. რუსები განაგრძობენ შეტევებს ავდეევკაზე, მარინკაზე, უგლედარზე, პავლოვკაზე, ბახმუტზე. უკრაინელებმა მტერი მოიგერიეს. ოკუპანტებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან.

ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია. ციფრობრივად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ტანკები – 2.840; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 5.742; საარტილერიო სისტემები – 1.837; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 206. განადგურებულია 80.960 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

წარუმატებლობებისგან შეწუხებულმა ქალმა მკითხავს მიმართა და სოლიდური თანხის გარეშე დარჩა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მუდმივი წარუმატებლობებისგან შეწუხებულმა ქალმა დახმარებისთვის მკითხავს მიმართა და შედეგად 12 ათასი ავსტრალიური დოლარი დაკარგა ისე, რომ ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია.

ქალი, სახელად პანუმი, დედასთან ერთად ქუჩებში სეირნობდა, როდესაც უამრავ სარეკლამო განცხადებას გადაეწყდა, რომლებიც წინასწარმეტყველის მომსახურებაზე იუწყებოდნენ. მათში ნათქვამი, იყო, რომ წინასწარმეტყველი მოგიგვარებდათ ყველა პრობლემას, დაგიბრუნებდათ საყვარელ ადამიანს და ათასობით დოლარის გამომუშავებაში დაგეხმარებოდათ.

– ახლახან გადავიტანე მეუღლესთან განქორწინება, ავტოავარია, ამიტომ, როდესაც მე და დედაჩემმა აღნიშნული სარეკლამო განცხადებები ვნახეთ, მაშინვე გავიფიქრე: „რატომაც არა!“ – განაცხადა პანუმმა. თითქოსდა მიხვდა ქალის სურვილს, მასთან მივიდა მკითხავის დამხმარე პანდიტ ვალმიკი კრიშნა და სამკითხაო მომცრო ოთახში სეანსზე მიიპატიჟა. ქალმა 30 დოლარი გადაიხადა და კრიშნამ მის ხელისგულზე მკითხაობა დაიწყო.

– მან მითხრა, რომ ჩემზე წყევლა იყო და რომ ეს ყოველივე შავი მაგიის ბრალი იყო. მან გამაფრთხილა, რომ წყევლა აუცილებლად უნდა მომეხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი შვილების მომავალს საფრთხე ემუქრებოდა, – იხსენებს ქალი.

წყევლის მოსახსნელად „დიდმა მაგმა“ ქალისგან კიდევ 830 ავსტრალიური დოლარი მოითხოვა. შემდეგ კი განუცხადა, რომ სრული ეფექტის მისაღწევად ის და კიდევ რამდენიმე მკითხავი უნდა მისულიყვნენ მასთან სახლში, რათა შენობიდან ავი სულები განედევნათ. ქალი ამ წინადადებაზე დათანხმდა. შედეგად მის სახლში მთელი შოუ გაიმართა, ლიმონების დაწურვით, ყალბი სისხლის წვეთების შეშხეფებით და ავი სულების პატარა ქანდაკებების მოშორებით.

პროცედურის დასრულების შემდეგ კრიშნამ ქალს ახალი ანგარიში წარუდგინა, 21 ათასი ავსტრალიური დოლარი მოითხოვა და ავტომობილი და ძვირფასეულობის გაყიდვა შესთავაზა. შემდეგ ქალის მტკიცებით, მკითხავმა მას რაღაც სითხის დალევა აიძულა და ამის შემდეგ მან გარკვეული თანხა გადაურიცხა.

ძვირადღირებულ რიტუალს ქალის ცხოვრება უკეთესობისკენ არ შეუცვლია. ამის შემდეგ მას დედამ ურჩია, მკითხავი მოეძებნა და თაღლითობისთვის პოლიციაში ჩივილით დამუქრებოდა. შეშინებულმა ცრუ მაგმა ქალს თანხის ნაწილი დაუბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

დინამომ დინამოს წაფორხილებით ვერ ისარგებლა

დინამო (თბ)-თელავი 1:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 იმრანი (21), 1:1 ქავთარაძე (50პ)

დინამო: კუტალაძე, მალი, ხვადაგიანი, მექვაბიშვილი (გაბედავა 75), იმრანი (კუცია 75), ბილენკი (სხირტლაძე 58), ტაბიძე, ბარნსი (სიგუა 67), კირკიტაძე (ოდიშარია 67), კობოური, კამარა

თელავი: თანდილაშვილი, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, პავიშიჩი (ჩუკვურა 86), ბ.ქავთარაძე, კოხრეიძე (ფირანაშვილი 61), ჯიქია (პარკინაშვილი 78), ქოჩლაძე, კვერნაძე (გიგაშვილი 61), ფაცაცია

დინამო არენაზე თბილისელები დაწინაურდნენ: 21-ე წუთზე ულად-ომარ იმრანმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ანგარიში გათანაბრდა. დინამოელთა მეკარე ლუკა კუტალაძემ თელაველთა შემტევი ლაშა კოხრეიძე წააქცია, დაინიშნა პენალტი და ბექა ქავთარაძემ გაიტანა – 1:1.

მალე, 52-ე წუთზე წუთში დინამოელთა მცველმა ნიკა მალიმ გაიტანა და გოლი მას შემდეგ გაუქმდა, რაც არბიტრმა არსენ ნონიკაშვილმა VAR-ზე გადაამოწმა: გაირკვა, რომ მანამდე მასპინძელთა ნახევარმცველი ანზორ მექვაბიშვილი არღვევდა წესებს და გოლიც არ ჩაითვალა.

დინამოს რომ მოეგო, ჩემპიონობის დიდი შანსი ჰქონდა, რაც შემდეგ გაირკვა. თუმცა, ამ წაგებით საჩემპიონო ტიტული ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ...

თელავი მეშვიდე ადგილზეა, დინამო კი 3-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს.

დინამო (ბთ)-სამგურალი 1:2

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

0:1 პატარკაციშვილი (29), 0:2 ნიქაბაძე (48), 1:2 ზარია (84)

დინამო: ალავიძე, ტეიდი, ჯიღაური (ზარია 71), ფალავანდიშვილი (ნავალოვსკი 71), ფანცულაია (ვაწაძე 64), მამუჩაშვილი, რეხვიაშვილი, ალთუნაშვილი, კობახიძე, ღუდუშაური, ჩაბრაძე (ქაფიანიძე 90)

სამგურალი: შოვნაძე, ი.ახვლედიანი, პატარკაციშვილი, გილმორი (ქურდაძე 90), მაისაშვილი, რუხაძე (ბაშალეიშვილი 80), კალანდარიშვილი, შ.ბურჯანაძე, კიკაბიძე, ნიქაბაძე (ს.კუხიანიძე 66), ჯერალდო (სიმდიანკინი 80)

სავსე ტრიბუნები, მშვენიერი ატმოსფერო... ბათუმელებს რომ მოეგოთ, პირველ ადგილზე გადავიდოდნენ, მაგრამ სამგურალთან წააგეს და ახლა 3 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს. სამგურალი კი მესამეზე დარჩა და ევროტურნირებზე გასასვლელად იბრძვის.

პირველ ტაიმში ანგარიში თავური დარტყმით გახსნა სტუმართა მცველმა ომარ პატარკაციშვილმა, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში გიორგი ნიქაბაძემ დაასრულა კონტრშტევა გოლით – 0:2. ნიქაბაძე შარშან და შარშანწინ დინამო ბათუმში თამაშობდა...

წყალტუბოელთა ორივე გოლი ჯეფერსონ ჯერალდოს პასით გავიდა. ბრაზილიელს 12 საგოლე პასი აქვს და მიმდინარე ლიგაში ლიდერია ამ მაჩვენებლით.

ბათუმელებმა 84-ე წუთზე შეამცირეს სხვაობა, კერძოდ, გიორგი ზარიამ გაიტანა შორიდან მოულოდნელი დარტყმით – 1:2. დარჩენილ დროში ზღვისპირელებმა მატჩის გადასარჩენად ვეღარაფერი მოახერხეს.

მატჩის შემდეგ დიდი არეულობა დაიწყო: ზღვისპირული კლუბის პრეზიდენტმა არჩილ ბერიძემ და მისმა გარემოცვამ (საუბარია ბერიძის შვილზეც) მსაჯების გასალახად გაიწია. იყო სხვა უსიამოვნო ფაქტებიც – ფიზიკური შეურაცხყოფა, გინება, ბილწსიტყვაობა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

– ფეხბურთის ფედერაციისთვის მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი ფორმა, რაც სტადიონის ტრიბუნებსა და მოედანზე მატჩის დასრულების შემდეგ გამოვლინდა. მათ შორის, მსაჯზე თავდასხმა, მოედანზე შევარდნა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ვანდალიზმი და სხვა.

სფფ-ის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტი მომხდარს როგორც ოფიციალური პირების მოხსენების, ისე არსებული კადრებისა და ფაქტების საფუძველზე გამოიძიებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ინციდენტში ჩართული ყველა პირის მიმართ.

დილა-ლოკომოტივი 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 სანტოსი (30)

დილა: ბულისკერია, ჩიტეიშვილი, სანტოსი, გეილი (გაფრინდაშვილი 77), ნონდი, სპანდერაშვილი (დრამე 77), გომისი, ვიქტორი, სილვა, ეტოუ, მადინგა (ჭიჭინაძე 90)

ლოკომოტივი: გოშაძე, გიორგაძე, ომარაშვილი (კახაბრიშვილი 46), ძებნიაური, ხარაიშვილი, გაბაძე, იაშვილი, ქველაძე (უბილავა 58), გ.ხუციშვილი (აბდულაჰი 46), ნ.ხუციშვილი (შეყილაძე 30), დიასამიძე (ჭიაბრიშვილი 70)

დილამ ბრაზილიელი ალეფ სანტოსის ლამაზი გოლით სძლია აუტსაიდერ ლოკომოტივს და ევროსაგზურის მოსაპოვებლად ბრძოლას აგრძელებს.

დილამ ზედიზედ მესამედ მოიგო, მაგრამ მაინც მეოთხე ადგილზე დარჩა. გორელები ქულით ჩამორჩებიან სამგურალს, რომელთანაც თამაში ბოლო ტურში უწევს.

ტორპედო-გაგრა 0:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 შონია (65)

42-ე წუთზე ცინცაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

ტორპედო: კვასხვაძე, მონტეირო, ცინცაძე (ნადარაია 70), შულაია, მანჯგალაძე, სანდოხაძე, არაბიძე (მჭედლიძე 84), გეგეჭკორი, ქიმაძე (ნ.ქავთარაძე 66), შერგელაშვილი (ბუღრიძე 84), თ.ახვლედიანი (კაბალიერო 66)

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კალეიდოსკოპი

ცოლ-ქმარმა ქორწილის იუბილეზე ალმასი იპოვა

ამერიკის მინესოტას შტატის მცხოვრები ოჯახური წყვილი თავიანთი ქორწილის ათი წლის იუბილეს აღსანიშნავად სამოგზაუროდ წავიდა და ყავისფერი 1,9 კარატის წონის ალმასი იპოვა.

ჯესიკა და სეტ ერიქსონები მოგზაურობაში წავიდნენ და ქვეყნის 11 შტატი მოიარეს. მათი მოგზაურობის მთავარ მიზნად არკანზასის შტატში მდებარე სახელმწიფო პარკი ალმასების კრატერი იქცა, რომელიც მსოფლიოში ერთადერთ, ხალხისთვის ხელმისაწვდომ ალმასების საბადოს წარმოადგენს.

პარკის თანამშრომლებმა ცოლ-ქმარს რჩევები მისცეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩაეტარებინათ ქანის რეცხვა ძვირფასი ქვის საპოვნელად. სულ რაღაც ერთ საათში წყვილმა თავიანთი ჯამის ფსკერზე ძვირფასი მინერალი შენიშნა. წყვილმა ნაპოვნი ძვირფასი ქვა პარკის ალმასების აღმოჩენის ცენტრში მიიტანა, სადაც მათ დაუდასტურეს, რომ ეს მართლაც ყავისფერი ალმასი იყო, რომლის წონამ 1,9 კარატი შეადგინა.

წყვილმა ნაპოვნ ძვირფას ქვას ჰიმო დაარქვა, თავიანთი შვილების ინიციალების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ალმასების კრატერში 581 ალმასი იქნა ნაპოვნი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

შედეგები

13 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრაიტონი-ასტონ ვილა 1:2
ფულემი-მანჩესტერი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	14	12	1	1	33-11	37
2.სიტი	14	10	2	2	40-14	32
3.ნიუკასლი	15	8	6	1	29-11	30
4.ტოტენჰემი	15	9	2	4	31-21	29
5.მანჩესტერი	14	8	2	4	20-20	26
6.ლივერპული	14	6	4	4	28-17	22
7.ბრაიტონი	14	6	3	5	23-19	21
8.ჩელსი	14	6	3	5	17-17	21
9.ფულემი	15	5	4	6	24-26	19
10.ბრენტფორდი	15	4	7	4	23-25	19
11.კრ.პალასი	14	5	4	5	15-18	19
12.ასტონ ვილა	15	5	3	7	16-22	18
13.ლესტერი	15	5	2	8	25-25	17
14.ბორნმუთი	15	4	4	7	18-32	16
15.ლიდსი	14	4	3	7	22-26	15
16.ვესტ ჰემი	15	4	2	9	12-17	14
17.ევერტონი	15	3	5	7	11-17	14
18.ნოტინგემი	15	3	4	8	11-30	13
19.საუთჰემტონი	15	3	3	9	13-27	12
20.ვულვზი	15	2	4	9	8-24	10

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნლი-ბლექბერნი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-აინტრახტი 1:1
ფრაიბურგი-უნიონი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	15	10	4	1	49-13	34
2.ფრაიბურგი	15	9	3	3	25-17	30
3.ლაიფციგი	15	8	4	3	30-21	28
4.აინტრახტი	15	8	3	4	32-24	27
5.უნიონი	15	8	3	4	24-20	27
6.დორტმუნდი	15	8	1	6	25-21	25
7.ვოლფსბურგი	15	6	5	4	24-20	23
8.გლადბახი	15	6	4	5	28-24	22
9.ვერდერი	15	6	3	6	25-27	21
10.მაინცი	15	5	4	6	19-24	19
11.ჰოფენჰაიმი	15	5	3	7	22-22	18
12.ლევერკუზენი	15	5	3	7	25-26	18
13.კიოლნი	15	4	5	6	21-29	17
14.აუგსბურგი	15	4	3	8	18-26	15
15.ჰერტა	15	3	5	7	19-22	14
16.შტუტგარტი	15	3	5	7	18-27	14
17.ბოხუმი	15	4	1	10	14-36	13
18.შალკე	15	2	3	10	13-32	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-მაგდებურგი 3:1
დარმშტადი-ფიურტი 1:1
ნიურნბერგი-პადერბორნი 2:1

იტალია. სერია ა

ატალანტა-ინტერი 2:3
ვერონა-სპეცია 1:2
მონცა-სალერნიტანა 3:0
რომა-ტორინო 1:1
მილანი-ფიორენტინა 2:1
იუვენტუსი-ლაციო 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	15	13	2	0	37-12	41
2.მილანი	15	10	3	2	29-15	33
3.იუვენტუსი	15	9	4	2	24-7	31
4.ლაციო	15	9	3	3	26-11	30
5.ინტერი	15	10	0	5	34-22	30
6.ატალანტა	15	8	3	4	22-15	27
7.რომა	15	8	3	4	18-14	27
8.უდინეზე	15	6	6	3	24-17	24
9.ტორინო	15	6	3	6	16-17	21
10.ბოლონია	15	5	4	6	20-25	19
11.ფიორენტინა	15	5	4	6	18-20	19
12.სალერნიტანა	15	4	5	6	19-24	17
13.ემპოლი	15	4	5	6	12-19	17
14.მონცა	15	5	1	9	16-22	16
15.სასუოლო	15	4	4	7	15-22	16
16.ლეჩე	15	3	6	6	14-17	15
17.სპეცია	15	3	4	8	14-26	13
18.კრემონეზე	15	0	7	8	11-26	7
19.სამპდორია	15	1	3	11	6-27	6
20.ვერონა	15	1	2	12	12-29	5

იტალია. სერია ბ

ჯენოა-კომო 1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

პსჟ-ოსერი 5:0
ბრესტი-ტრუა 2:1
ლილი-ანჟე 1:0
მონპელიე-რენმი 1:1
ნანტი-აიაჩო 2:2
სტრასბური-ლორიანი 1:1
მონაკო-მარსელი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	15	13	2	0	43-9	41
2.ლანსი	15	11	3	1	26-10	36
3.რენი	15	8	4	2	31-14	31
4.მარსელი	15	9	3	3	26-13	30
5.ლორიანი	15	8	4	3	26-21	28
6.მონაკო	15	8	3	4	29-21	27
7.ლილი	15	8	2	5	27-23	26
8.ლიონი	15	6	3	6	22-18	21
9.ნიცა	15	5	5	5	15-17	20
10.კლერმონი	15	5	4	6	19-23	19
11.რეიმსი	15	3	8	4	16-21	17
12.ტულუზა	15	4	4	7	20-27	16
13.ტრუა	15	3	5	7	26-31	14
14.მონპელიე	15	4	2	9	24-29	14
15.ნანტი	15	2	7	6	17-24	13
16.ბრესტი	15	3	4	8	16-28	13
17.ოსერი	15	3	4	8	14-31	13
18.აიაჩო	15	5	3	9	13-24	12
19.სტრასბური	15	1	8	6	18-27	11
20.ანჟე	15	2	2	11	15-34	8

ნიდერლანდები. ეროვნული ლიგა

ნაიმეგენი-ვალვაიკი 6:1
გრონინგენი-სიტარდი 2:3
ჰერენვენი-კამბური 2:1
ფეინოორდი-ექსელსიორი 5:1
იგლზი-ვიტესი 2:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

გიმარაეში-მარიტიმუ 1:0
ფერეირა-ვიზელა 0:2
ბენფიკა-ჟილ ვისენტე 3:1
კასა პია-შავიში 1:2
პორტიმონენშე-ბრაგა 1:2
ფამილიაკო-სპორტინგი 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-ვოლფსბერგერი 0:1
კლაგენფურტი-ზალცბურგი 0:1
ლინცერი-შტურმი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-ანტვერპენი 2:2
სტანდარდი-სენ ჟილუა 2:3
ანდერლეხტი-გენკი 0:2
კორტრაიკი-გენტი 0:4

თურქეთი. სუპერლიგა

ქარაგუმრუქი-გაზიანთები 3:3
ისთანბული-ჰატაი 0:1
ქაისერი-ქონია 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-არისი 0:4
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი 2:0
ლამია-პანეთოლიკოსი 1:3
ოლიმპიაკოსი-აეკი 0:0
პაოკი-ვოლოსი 3:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ციურიხი-სერვეტი 4:1
ლუგანო-ვინთენთური 3:1
იანგ ბოიზი-ლუცერნი 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჰრადეც კრალოვე-სლოვაკეკ 1:2
ბრნო-სიგმა 2:3
პარდუბიცე-პლზენი 1:1
ზლინი-სლავია 0:4

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პადმიაკი-პოგონი 1:2
ლეხია-პიასტი 1:3
შლასკი-ლეგია 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლექსანდრია-ვერესი 3:2
ვორსკლა-დნიპრო 1:1
დინამო-კოლოსი 0:0
მეტალისტი 1925-ინგულეცი 2:1
შახტარი-ზორია 2:2

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-კოპენჰაგენი 0:2
ჰორსენსი-ოდენსე 3:3
ბრონდბიუ-ვიბორგი 0:2
ნორდსიელანდი-ოლბორგი 5:1
რანდერსი-მიდტიულანდი 0:0

ნორვეგია. ელიტასერია

ვიკინგი-ოდი 1:1
ვალერენგა-მიოლდე 1:2
კრისტიანსუნი-ერვი 1:1
ლილესტრიომი-ჰამკამი 3:1
რუსენბორგი-სარპსბორგი 2:3
სანდერფიორდი-ჰაუგესუნდი 2:2
სტრომგოდსეტი-ბოდო 2:4
ტრომსო-ალესუნდი 2:2

საქართველო მაროკოსთან კვარაცხელიას მოისაკლისებს, ჩაკვეტაძის თამაში საეჭვოა

17 ნოემბერს საქართველოს ნაკრები არაბეთის გაერთიანებული საამიროების ქალაქ შარჯაში ამხანაგურად მაროკოს გაეჯიბრება.

ვილი სანიოლის გუნდი წლის ბოლო ამხანაგური მატჩისთვის მზადებას დღეს იწყებს. ფრანგი სპეციალისტის მიერ დასახელებულ შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილებაა. მაროკოსთან შეხვედრაში ეროვნულ ნაკრებს ტრავმის გამო ნაპოლის ქართველი ლეგიონერი, ხვიჩა კვარაცხელია ვერ დაეხმარება. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, მომდევნო ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებს ბათუმის დინამოს წევრი სანდრო ალთუნაშვილი შეუერთდა.

ჯერჯერობით, გაურკვეველია გიორგი ჩაკვეტაძის ტრავმის სიმძიმე. ჩვენებურმა ფეხი სლოვაკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში გუშინ იტკინა. ერთი შეხედვით, საშიში არაფერია, მაგრამ... საქართველოს ნაკრებმა ილია კოკაიას სახელობის სპორტულ ცენტრში პირველი ვარჯიში გუშინ გამართა, ხოლო შარჯაში დღეს გაემგზავრება და მაროკოსთან მატჩისთვის უკვე იქ მოემზადება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ჯემალ ტაბიძე (დინამო თბ), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი);

ნახევარდაცვა: საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ლეხი, პოლონეთი), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), სანდრო ალთუნაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი (ორივე დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი გოჩოლეიშვილი (საბურთალო);

თავდასხმა: გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი).

საქართველოსა და მაროკოს ნაკრებების მატჩი 17 ნოემბერს, 20:00 საათზე დაიწყება.

დინამომ დინამოს წაფორხილებით ვერ ისარგებლა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

გაგრა: ვორობეი, ხოსიტაშვილი (ოურუ 84), ჭანტურია, ნოზაძე, სეხნიაშვილი, შონია (სულთანიშვილი 67), ქობულაძე, შეწირული, ლომთაძე (ხაბელაშვილი 75), ფარულავა (გვიშიანი 67), მაქაცარია

ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე გავიდა. გაგრამ თემურ შონიას გატანილით მოუგო ტორპედოს.

არადა, მანამდე, პირველი ტაიმის ბოლოს, ტორპედომ პენალტი ვერ გამოიყენა – მათე ცინცაძის დარტყმული მოიგერია მეკარე ოლექსანდრ ვორობეიმ.

და კიდევ, მოქმედებდა VAR-ის სისტემა, რომელმაც ტორპედოს პარაგვაელ ფორვარდს, მაურო კაბალიეროს ორი გოლი სამართლიანად გაუუქმა.

გაგრამ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა და მეშვიდე ადგილზე გადავიდა: ერთი ქულით გაუსწრო თელავს და საშიშ პოზიციას მოშორდა.

სიონი-საბურთალო 1:0

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 ჩაგანავა (77)

სიონი: ისიანი, ბექაური, გელაშვილი, ლ.ხორხელი (კარვალიუ 85), ნ.ხორხელი, ჯავაშვილი (ჩაგანავა 65), დოობი (გნაბუიუ 60), ფოცხვერია (მესიაჩენკო 65), ნემსაძე, კიკალეშვილი, დუმბია

საბურთალო: მეგრელიშვილი, ჯგერენაია, ტაბატაძე (გ.მამაგეიშვილი 78), ქარდავა, გულიაშვილი (მამაცაშვილი 82), გოშთელიანი, ლ.ნონიკაშვილი, ჯინჯოლავა, პარუნაშვილი (ო.მამაგეიშვილი 72), სიხარულიძე, ამბროსიძე

სიონს 25 აგვისტოს შემდეგ არ ჰქონდა მოგებული. ახლა 11-მატჩიანი სერია დაასრულა და საბურთალოს 1:0 სძლია. ბოლნისელთა მწვრთნელის რანგში დებიუტი ჰქონდა გიორგი ჭელიძეს.

გოლი 77-ე წუთზე ლუკა ჩაგანავამ გაიტანა. ეს 18 წლის ნახევარმცველის პირველი გოლია ეროვნულ ლიგაში.

სიონი მეცხრე ადგილზე დარჩა, მაგრამ აქვს შანსი, რომ მეშვიდეზე გავიდეს და ფლეი ოფი თავიდან აიცილოს. საბურთალომ კი ზედიზედ მეოთხედ წააგო, მეექვსე საფეხურზეა და გავარდნილი ლოკომოტივის შემდეგ ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც მოტივაცია დაკარგული აქვს.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	34	23	7	4	70-27	76
2.დინამო (ბთ)	34	22	7	5	81-31	73
3.სამგურალი	34	15	11	8	54-40	56
4.დილა	34	16	7	11	44-34	55
5.ტორპედო	34	14	8	12	43-46	50
6.საბურთალო	34	12	8	14	50-48	44
7.გაგრა	34	9	9	16	34-51	36
8.თელავი	34	7	14	13	27-35	35
9.სიონი	34	7	12	15	33-55	33
10.ლოკომოტივი	34	1	5	28	26-95	8

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დიდ მწუხარებას გამოხატავს

ბატონი ნოდარ ნათაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი ათწლეული წარმოუდგენელია ბატონი ნოდარის კოლორიტული, წესიერებით და ქვეყანაზე გულწრფელი ზრუნვით გამორჩეული ფიგურის გარეშე.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტროპიკული ხილი; 5. ასახდელზედიანი მსუბუქი ავტომობილი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. თავადის ტიტული ინდოეთში; 12. აშშ-ის პრეზიდენტი; 13. საიზოლაციო მასალების წარმოებაში გამოყენებული თეთრი ბოჭკოვანი მინერალი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 17. სამახსოვრო საჩუქარი; 19. ძველი დროის გადმონაშთი, მოძველებული მოვლენა; 21. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 23. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

თარაზულად: 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 8. ისრაელის პრეზიდენტი; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმთა მთვარის კალენდარი; 20. ორგანიზაციის შიკრიკი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 25. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 26. ფშაველების მთავარი სალოცავი ძველად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თავთუხი; 2. საბურთალო; 3. გრუნდიგი; 4. ხრიდოლი; 5. ხაშური; 9. გრემიო; 11. ვერმელი; 12. ფიგარო; 14. ტასმანი; 18. ოტელო; 19. ბომბი.

თარაზულად: 4. ხორავა; 5. ხამანწკა; 6. ბრერა; 7. თიბათვე; 8. ბუნაგი; 10. წნევა;. 13. ხუტორი; 15. თუშეთი; 16. გომი; 17. პინო; 20. მაროკო; 21. პოშეტი; 22. ჰილტონი; 23. ბალეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბრავადა; 2. ბრიუსელი; 3. ოტომანები; 4. დიაფანი; 5. კომპონენტი; 10. მაკეტი; 11. მუშტაიდი; 12. კონსული; 13. ბეთანია; 16. ყანდარელი; 17. ჟანდარმი; 19. ასფიქსია; 21. სევრი; 23. თერგი.

თარაზულად: 6. პრიორიტეტი; 7. იამბიკო; 8. ბახუსი; 9. ნადირაძე; 14. ბელკანტო; 15. კანდელაკი; 18. მედია; 20. ფაეტონი; 22. კათედრა; 24. ჰენესი; 25. ფედერერი; 26. ლაგამი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7172	ევრო — 2.7963
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1922	100 რუსული რუბლი — 4.4847

ამინდის პროგნოზი 15 ნოემბრისათვის



კრიშტიანო რონალდუ: „ტენ ჰაგს პატივს არ ვცემ“



მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გამოცემას და მასში ბევრ საკითხს შეეხო, მათ შორის მის დამოკიდებულებას ტენ ჰაგის მიმართ. რონალდუმ თქვა, რომ ის ჰოლანდიელ სპეციალისტს პატივს არ სცემს: „ტენ ჰაგი ისე არ მომექცა, როგორც ამას ვიმსახურებდი და ამის გამო ის ჩემს პატივისცემას არ იმსახურებს. მანჩესტერ იუნაიტედს პროგრესი არა აქვს და ამ გუნდში ჩემს მომავალს ვერ ვხედავ. მქონდა შანსი, რომ მანჩესტერ სიტიში გადავსულიყავი, მაგრამ ფერგიუსონმა მითხრა, რომ ეს არ გამეკეთებინა“.

პედრი: „ვამაყობ, რომ ესპანეთის ნაკრებში ვთამაშობ“

მსოფლიო ჩემპიონატი უკვე მალე დაიწყება და ესპანეთის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტია. პედრიმ ამ თემაზე ისაუბრა და თქვა, ის ამაყობს, რომ ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და ფიქრობს, რომ ესპანეთს შეუძლია ჩემპიონატის მოგება: „მინდა, რომ ნაკრებს მაქსიმალურად დავეხმარო და თავს არ დავზოგავ. ჩვენ შეგვიძლია გამარჯვება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ვახტანგ მაჭავარიანმა 70 წლის იუბილე კონცერტით აღნიშნა

მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანმა 70 წლის იუბილე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტით აღნიშნა.

საღამოზე მისული მსმენელისთვის აჟღერდა ვახტანგ მაჭავარიანის ნაწარმოებები: „შთაბეჭდილებები 2020“ – პანდემიის თემაზე, პირველი სცენა ოპერიდან „რიჩარდ III“ – პრემიერა. ოპერის ლიბრეტო უილიამ შექსპირის ყველასათვის ცნობილ ტრაგედიას „რიჩარდ მესამეს“ ეფუძნება და აჟღერდა ქართულ ენაზე, ივანე მაჩაბლის საოცარი თარგმანით.

ვახტანგ მაჭავარიანმა დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ვაგნერის უვერტიურა ოპერიდან „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“, პირველი აქტის პრელუდი ოპერიდან „პარსიფალი“ – პრემიერა, უვერტიურა ოპერიდან „ტანჰოიზერი“.

მაესტროს დაბადების დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მილენა ტალახაძემ, იოანე ტუღუშმა, მეგი ჩიხრაძემ, ირაკლი მურჯიკნელმა, გიორგი ლომისელმა, გოჩა დათუსანმა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ნოემბრისათვის

ვერძი – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **კურო** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. არანაირი შეხვედრა არ დაგეგმოთ. **ტყუპები** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კირჩხიბი** – ახალი ჩანაფიქრის განხორციელება იოლი არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის რისკთან არის დაკავშირებული. **ლომი** – ახალი ნაცნობობა თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ოღონდ მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, ეს როლი უარყოფითი იქნება თუ დადებითი. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, თუმცა – გამოსწორებადი. თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ამ თვისებების წყალობით განაიარაღებთ. **მშვილდოსანი** – პრიორიტეტების შეცვლა მოგიწევთ. ქალებს სასიამოვნო შეხვედრა გელით. **თხის რქა** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **მერწყული** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **თევზები** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბავშვი ოთახში დარბის, თაროებიდან ყველაფერს ყრის, სკამებს ატრიალებს. გაკვირვებული ძიძა ეკითხება:
– რას აკეთებ?
– ვთამაშობ.
– ეგ რა თამაშია?
– სად არის მანქანის გასაღები, მე შენი დედა...

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:
– კვლავაც ახალგაზრდულად და შესანიშნავად გამოიყურებით.
– სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი თქვენზე, – უპასუხა ქალმა.
– შეგეძლოთ, ჩემსავით გეცრუათ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რა მსგავსებაა სიყვარულსა და სოკოს შორის?
– რა და, როდესაც მიხვდები, რომ შეცდი, უკვე ვეღარაფერი გიშველის...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– შენმა შვილმა კბილის ექიმობა რატომ გადაწყვიტა?
– რატომ და მოსწონს, როდესაც მამაკაცები პირდაღებულები და თვალებდაჭყეტილები უყურებენ.

●●●

მაღაზიაში ქალი გამყიდველ გოგონას მიმართავს:
– შეგიძლიათ, წვენსაწური მაჩვენოთ?
– სამწუხაროდ, პანტომიმა არ მეხერხება...

●●●

სტუდენტური ქორწილია. ერთი სტუდენტი მეორეს ეკითხება:
– პატარძალი რატომ არც ჭამს და არც სვამს?
– ფული არ დაუდია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინი გოგიჩაიშვილი ფეშენ ტივის თანამშრომელია



მოდელი ნინი გოგიჩაიშვილი ფეშენ ტივის თანამშრომელი გახდა. ლამაზმანმა ყველაზე მოდური პროექტისთვის რამდენიმე გადაცემა უკვე ჩაწერა.

ინფორმაცია მოდელმა ნანუკა გოგიჩაიშვილმა გაავრცელა:

– მორიგი წარმატება სატელევიზიო სივრცეში და თანამშრომლობა მსოფლიო ბრენდთან!

გილოცავ, კიდევ უამრავი სიახლე მაქვს გასაზიარებელი, თუმცა ყველაფერს თავის დრო აქვს.

ილია ჭავჭავაძეს მულტიმედიური გამოფენა მიუძღვნეს

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა მულტიმედიური გამოფენა მიუძღვნა, სადაც წარმოდგენილია ეროვნულ არქივში ილიას შესახებ დაცული ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები, ავტოგრაფები, პუბლიკაციები, ნაწარმოებების აუდიოჩანაწერები და მოგონებები ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ. დოკუმენტები ასახავს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

გამორჩეულია ილიას როლი XIX საუკუნის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმართვაში. „თერგდალეულების“ ლიტერატურული მიმდინარეობა სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ შეიქმნა. მისი თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, პერიოდული გამოცემები „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მისი ღვაწლი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ჟანრის ერთ-ერთ შემქმნელსა და გამორჩეულ ავტორს ეკუთვნის: „კაცია-ადამიანი?!“, „ქართვლის დედა“, „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“...

მიხეილ ზაქარიაშვილი: „ერთი წელია სიმღერების წერას თავი დავანებე“

აცხადებს კომპოზიტორი და მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი:

– დიდი ხანია, უკვე ერთი წელია სიმღერების წერას თავი დავანებე და კლასიკაში გადავეშვი, უფრო განათლებული მსმენელი შევიძინე და უფრო საინტერესოა!

ვწერ კვარტეტებს, უკვე დავწერე სიმფონია, რომლის ნოტებით ჩაწერაშიც დამეხმარა კომპოზიტორი ალექსანდრე მწარიაშვილი, დიდი მადლობა მას. მართალია სულ ახლახან კომპოზიტორ ზურაბ ლალიაშვილის სიმღერა ჩავწერე, მივუძღვენით გარდაცვლილ კოლეგებს და სულ მალე იქნება პრემიერა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მე თქვენთან ანგარიში გავასწორე, ბევრი სიმღერა, ჰიტი გაჩუქეთ...

ახლა კი მინდა საერთოდ ჩამოვშორდე ამ ჟანრს, რასაც სიმღერა ჰქვია! დანარჩენო სიმღერის შემქმნელებო, მე თქვენი გულშემატკივარი ვიყავი და მომავალშიც ვიქნები, წარმატებები თქვენ ყველას. რა ვქნა, მე ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები და მოკლედ, აღარ მემღერება! სანამ ისევ არ შეიყვარებთ ერთმანეთს, სანამ არ შეიყვარებთ სამშობლოს, ვერ დავწერ სიმღერას. ბოდიშით.

ივა ფეზუაშვილის რომანი ახალ თეატრში დაიდგა

ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში მწერალ ივა ფეზუაშვილის რომანის მიხედვით სპექტაკლი დაიდგა.

„ბუნკერი“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერაც 25 ნოემბერსაა დანიშნული.

ივა ფეზუაშვილის ცნობილი რომანი „ბუნკერის“ პირველი სასცენო ინტერპრეტაცია დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების ცხოვრებაზე დაკვირვებაა, რომელიც ცდილობს გამოყოს ადამიანები ისტორიული ნარატივისგან და მოგვიყვეს მათი ცხოვრების შესახებ: 9 აპრილი გლოვის დღეა. 1989 წელს, სწორედ ამ დღეს დახოცა გენერალმა როდიონოვმა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი მომიტინგეები. 9 აპრილი მილას დაბადების დღეა და ამავდროულად მისი და გენას ქორწინების თარიღიც, მაგრამ გლოვის დღეს არავის ახსოვს დღესასწაული. მილას და გენას სიყვარული დღესასწაულივით დაიწყო 80-იანი წლების ბოლოს, ქალაქ ერევანში, თუმცა მალევე დაიშალა და დაინგრა, ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა კავშირი. ყარაბაღის ომს გამოქცეულმა წყვილმა თავი ქალაქ თბილისს, ზღვის უბანს შეაფარა და მას შემდეგ აქ ცხოვრობენ. ზემა – მილას და გენას უფროსი ქალიშვილი პოლიციელია, უმცროსი შვილი, ლაზარე კურიერად მუშაობს. საბჭოთა კავშირის ნანგრევებში მოყოლილი ოჯახი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ბუნკერიდან თავის დასაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს, – ასეთია სპექტაკლის სინოფსისი, რომელსაც შემოქმედებითი ჯგუფი ავრცელებს.

რომანის მიხედვით წარმოდგენა რეჟისორმა მიხეილ ჩარკვიანმა დადგა. კოსტუმების მხატვარი ანანო მოსიძეა, მუსიკის საორკესტრო ვერსიის ავტორი – ნიკოლოზ რაჭველი, პიანისტი – თამარ ჟვანია. სპექტაკლში ცოცხლად სრულდება ოლივიე მესიანის ნაწარმოებები.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ: დავით ბეშიტაიშვილი, ბუბა გოგორიშვილი, ანასტასია ჭანტურაია, გივიკო ბარათაშვილი, გიგა დათიაშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი, გიგი ქარსელაძე და დევი ბიბილეიშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 2. მდინარე დნეპრის ძველბერძნული სახელწოდება; 3. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 4. გერმანული ღუდი; 5. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 9. ინდიელთა სოფლები მექსიკაში; 11. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 12. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 14. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 19. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 4. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 5. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 6. ღუდის სასმისი; 7. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 10. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 13. ღვარძლიანი, შურიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. თევზის საჭერი მახე მდინარეში; 16. იაპონური ხის ქოშები; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, ამაგი; 21. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 22. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 23. უღელტეხილი საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა